№ 2921
პარასკევი
30 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2921
პარასკევი
30 სექტემბერი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციისაგან:

რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობა 1 ღვინობისთვეს. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერს, ფულის გამოგზავნის დროს გამოგზავნოს აგრეთვე ბანდეროლიანი ნამდვილი ადრესი.

კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვრისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 4 ოქტომბერს, გარდაცვალების მეორმოცე დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გენერალ-ადიუტანტის

თავად ივანე გივის ძის ამილახვრის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

თავადი ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე ხერხეულიძე ქალებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 28 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე ძვირფას მეუღლის

კნ. ბარბარე ნიკოლოზის ასულის ხერხეულიძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე. გამოსვენება, 1 ოქტომბერს, დილის ათ საათზე, საკუთარ სახლიდან, ელისაბედის ქუჩაზე, კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—1)

№ 2. ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 2.

ორშაბათს, 3 ოქტომბერს, 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

I **ნიაღვარი** დრამა ოთხ მოქ. კოსოროტოვისა თარგ. ვ. გუნიასი.

II **ბებრის საღერღელი** ვოდ. 1 მოქმ. მაზურკევიჩისა. თარ. დ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10 მ.-მდე, ბალკონი 60 კ.-დან 75 კ.-მდე, ამფითეატრი 1 მ. გალერეია 25 კ.-დან 35 კ.-მდე. მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად მმართველი, სულით ობოლნი, შით თავ:დი, ქოხში.

რეჟისორი ვალერიან გუნია.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯალოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ივიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.

ი. ი. ავერიხოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

შ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ილზიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგეობით. სასტაციონარო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—14)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ჰკიმავს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კლუბის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. ტელეფონი № 1066. (თვ.—828—28)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—29)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალების ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 11.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ.)

ექიმი
ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გაშინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 საათ. და საღამოთი 5—7 საათზე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—8)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზოვსკისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (80—18)

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 საათ. და საღამოობით 5—6 ს. კორუბეევის ქუჩ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—13)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—368—6)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.
გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, ხსამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე. (თვ. 80—8)

კობეკოს კომისია და არა რუსთა პრესსა

გუშინ ტელეგრაფმა გვაუწყა, რომ სენატორის კობეკოს კომისიამ გადასწყვიტა კავკასიის მკვიდრთა პრესსასაც მიენიჭოს ის შეღავათი, რომელიც განზრახულია რუსულ პრესსისათვისო. უმთავრესად ეს შეღავათი გამოიხატება იმაში, რომ მოისპობა წინასწარი ცენზურა და გაზეთების დაარსება შეიძლება განცხადებითი წესით.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს ბეჭდვითი სიტყვის სრულს თავისუფლებას, მაგრამ წინ დიდის ბიჯის გადადგმას უთუოდ მოასწავებს. ჯერ დაწვრილებით არ ვიცით, როგორი იქნება ახალი კანონები პრესსის შესახებ, ამიტომ განზრახულ რეფორმის გარჩევაში ვერ შევალთ, მაგრამ უნდა გავიმეოროთ მაინც, რომ ბეჭდვითი სიტყვის ნამდვილი განთავისუფლება ტყვეობიდან მხოლოდ ხალხის წარმომადგენლობითი კრებას შეუძლია და არა ბიუროკრატიულს კომისიას. ამის მიხედვით თუ გავითვალისწინებთ საქმეს, მაშინ უნდა ალვიაროთ, რომ კობეკოს კანონი მხოლოდ დროებითი ღონისძიებაა, რომელმაც ცოტაოდ მაინც უნდა შეამსუბუქოს პრესსის დღევანდელი მდგომარეობა და თანაც რამდენადმე კანონიერება უნდა შეიტანოს ბეჭდვითი საქმის თანამედროვე აწეწილს უფლებრივს მდგომარეობაში. მეტი მნიშვნელობა და ძალა მას არ ექნება...

უფრო მეტი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს კობეკოს კომისიის გადაწყვეტილებას არა რუსთა პრესსის შესახებ. ჩვენ ვგულისხმობთ იმ გარემოებათ, რომ ბოლოს და ბოლოს ბიუროკრატიაც-კი რწმუნდება, რა ცუდი მნიშვნელობა აქვს უთანასწორობას, რომელსაც აკანონებდა ბიუროკრატია რუსთა და არა რუსთა შორის; მიხვდა, რომ იმაზე მეტად არაფერი არ ამწვავებს არა-რუსთა გრძნობას რუსეთის წინააღმდეგ, როგორც მათი გამონაწილება საერთო კანონებიდან, მათი ჩაყენება განსაკუთრებულს პირობებში, თითქო არა რუსნი მოძულებულნი გერნი იყვნენ...

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აქვე, რომ კობეკოს კომისიაში ამ საქმის ასე კეთილად დამთავრებაში, როგორც პეტერბურგის გაზეთების ანგარიშებიდან სჩანს, თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ ჰაკკელს. მას ენერგიულად დაუცვია ჩვენის პრესსის უფლებანი და ბოლოს უთქვამს: სისასტიკე უფრო გაამწვავებს არა-რუსთ და მათი პრესსაც უფრო გადაგვემტერებაო. სჯობია, შევუმსუბუქოთ მდგომარეობა და შევურიგდეთო.

ოღონდაც, რომ სჯობია. **გ.**

უცხო ენების სწავლება ჩვენს საშუალო სასწავლებლებში

თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება იმდენად გართულდა და გამრავალფეროვანდა, სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებამ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად ისეთი დიდი ნიადაგი მოიპოვა, რომ ამ ჟამად უცხო, კულტურულ ერების ენის შესწავლის საჭიროება ყველასათვის ხაანბანო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული.

კარჩაკეტილად ცხოვრება ერის გონებრივად და ეკონომიურად დაქვეითების პირდაპირი ნიშანია, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში. ვისაც ჯერ კიდევ სიცოცხლე არ მოსჭარბებია, ვისაც ჰსურს გონივრულად, კულტურულად იცხოვროს, იგი უთუოდ დაწინაურებულ და განათლებულ ერებთან სულიერს კავშირს არ უნდა სწყვეტდეს. ისეთი სულიერი კავშირის გაბამა, სხვათა შორის, შესაძლოა მაშინ, როცა ამ უცხო ერის ენა შესწავლილი გაქვს. თუ ამა თუ იმ ერის ენა ზედმიწევნით შესწავლილი არა გაქვთ, ყოვლად შეუძლებელია ამ ერის მისწრაფება, ამ ერის სულის ვითარება შეიგნო და შეითვისო.

ამიტომ ყოველი განათლებული სახელმწიფო აუცილებლად სცდილობს უცხო ენების სწავლების საქმე სკოლებში წესიერად სწარმოებდეს. ამ რიგად ახალთაობას ეძლევა უფრო მეტი საშუალება გაეცნოს სხვა კულტურულ ერებს და იცხოვროს ამ დაწინაურებულ ერების საკაცობრიო იდეალებით და მისწრაფებით.

რუსეთში საერო განათლების სამინისტრომაც მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და საშუალო სასწავლებლებში შემოიღო გერმანულისა და ფრანგულის ენების სწავლება. ვინც ცოტაოდნად მაინც იცნობს რუსეთის საშუალო სასწავლებლებს, იგი ადვილად დაგვეთანხმება, რომ ამ ენების სწავლება ყოველთვის აბუჩად იყო აგდებული და დღესაც თითქმის აბუჩად არის აგდებული.

კერძოდ კავკასიის საშუალო სასწავლებლებში ამ ენების სწავლების აბუჩად აგდებას ხელი შეუწყო ერთმა მეტად სამწუხარო გარემოებამ.

ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ზოგიერთ ანგარებით გატაცებულმა პედაგოგებმა წამოაყენეს პრინციპი, რომ უცხო ენების საფუძვლიანად შესწავლა სამშობლო ენის დაუხმარებლად უფრო ადვილად შესაძლოა და ამ პრინციპის განსახორციელებლად მოჰფინეს მთელი ევროპა და ამერიკა ისეთის კერძო სასწავლებლებით, საცა უცხო ენების სწავლება სამშობლო ენის დაუხმარებლად სწარმოებდა და დღესაც სწარმოებს.

საერო განათლების სამინისტრომ რუსეთში ისარგებლა ამ უსაფუძვლო და უნიადაგო პრინციპით და ამ რამდენისამე წლის წინად წინადადება მისცა სასწავლო ოლქების მზრუნველებს, უცხო ენების სწავლება შეგიძლიანთ სამშობლო ენის დაუხმარებლად, ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, „მუნჯურის მეთოდით" აწარმოვეთო. კავკასიის სასწავლო ოლქმა სამინისტროს ეს არა სავალდებულო განკარგულება კავკასიის საშუალო სასწავლებლებში სავალდებულოდ აღიარა და აგერ მეხუთე წელიწადია, რაც ამ სამოსწავლებლებში ფრანგულისა და გერმანულის სწავლება „მუნჯურის მეთოდით" სწარმოებს.

ჩვენს მწერლობაში საზოგადოდ „მუნჯური მეთოდის" ავ-კარგიანობის შესახებ მრავალი საგულისხმიერო აზრი წარმოითქვა, შეგნებულნი პედაგოგნი ერთხმად აღიარებდნენ და დღესაც აღიარებენ, რომ ამ მეთოდით სწავლება რუსულის ენისა არა თუ აზრს არ აღწევს, პირიქით, ბავშვის ნორჩ გონებისათვის კიდევაც დამღუპველიაო. თუ როგორი ნაყოფი მოიტანა ამ მეთოდით რუსულის ენის სწავლებამ, ეს დღეს დღეობით ყველასათვის ცხადზე უცხადესია, საზოგადოებამ თავისი პირუთვნელი მსჯავრი უკვე საჯაროდ დასდო.

ამიტომ ჩვენ ამ პატარა წერილში „მუნჯურის მეთოდის" ავ-კარგიანობის გამოკვლევას არ შევუდგებით და, ვგონებთ, ეს არც საჭირო უნდა იყოს.

ჩვენ მხოლოდ აქ აღვნიშნავთ სამწუხარო აქტად იმ გარემოებას, რომ გერმანულისა და ფრანგულის ენების სწავლების დროს ამ ყოვლად უსაფუძვლო და უნიადაგო მეთოდს ჯერ ჩვენს საშუალო სასწავლებლებში თავისი გამანადგურებელი ძალა და მნიშვნელობა კიდევ შერჩენია. ხუთი წლის ცდა, ვგონებთ, საკმარისია, რომ კაცმა შეამოწმოს ამ მეთოდის ნაყოფიერება.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეთოდის მეოხებით გერმანულისა და ფრანგულის ენების სწავლება ერთი-ორად შეფერხდა. მოწაფეებს თუთიყუშივით აზეპირებინებენ რაღაც მათთვის სრულიად გაუგებარს სიტყვებს და წინადადებებს და იმას არავინ დაეძებს, ესმით მოწაფეებს ამ სიტყვებისა და წინადადებების შინაარსი თუ არა.

ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ ძრიელ გულმოდგინეთ ვადევნებდით თვალყურს ამ ენების სწავლების საქმეს და ნათლად დავრწმუნდით, რომ მოწაფეებს მეხუთე მეექვსე კლასში არა თუ ლაპარაკი, კითხვაც კი ეძნელებათ და ორიოდე ვაი-ვაიგლახით წაკითხულის წინადადების გაგებაც ვერ მოუხერხებიათ. ან კი როგორ უნდა მოახერხოს მოწაფემ შეგნებით შეითვისოს ეს ენები, როცა მასწავლებელს თვალსაჩინო საგნების განმარტებაც ვერ მოუხერხებია და განყენებულ მცნებების შესახებ ლაპარაკიც ხომ მეტია.

აი მაგალითიც. მასწავლებელი გერმანულს ენის გაკვეთილზე უთითებს ხელს სტოლისაკენ და გერმანულად ეკითხება: „ვას ისტ დას"? და თვითონვე აძლევს პასუხს: „დას ისტ დერ ტიშ". მოწაფეები მთელის საათის განმავლობაში საერთოდ იზეპირებენ: „დას ისტ დერ ტიშ" და სხვა ამ გვარს, ხოლო, სამწუხაროდ, როცა გაკვეთილის გათავების შემდეგ ეკითხები სამშობლო ენაზე, აბა სტოლს რა ჰქვია გერმანულადო, მოწაფე დაუფიქრებლად და სრულიად დარწმუნებული გიპასუხებს: „დას ისტ დერ ტიშ"-ო განა მოწაფის ნორჩის გონების დამახინჯება არ არის, როცა ამ მეთოდის მეოხებით ბავშვი მთელს წინადადებას უბრალო სიტყვიდანაც ვერ არჩევს!...

საერო განათლების სამინისტროს შეცდომა ის არის, რომ არ გაეცნო რიგიანად იმ სასწავლებლებს, რომლის მაგალითი თვითონვე შემოიღო, და მეორე—საშუალო სკოლებს დააკისრა ისეთი ვალდებულება, რომლის შესრულება ყოვლად შეუძლებელია.

ევროპასა და ამერიკაში იმ სასწავლებლებმა, საცა უცხო ენებს ასწავლიან სამშობლო ენის დაუხმარებლად, თავის არსებობის საფუძველი უკვე დაჰკარგა. ხანგრძლივმა პრაქტიკამ ნათლად დაარწმუნა საზოგადოება, რომ ეს სასწავლებლები თავის მიზანს პირნათლად ვერ ემსახურებიან. ამ სასწავლებლების თავი და თავი მიზანი ის იყო, რომ მოსწავლეს „მუნჯურის მეთოდის" საშუალებით პრაქტიკულად შეესწავლა უცხო ენებზე თავისუფლად და სწორედ ლაპარაკი. პრაქტიკამ აშკარად ნათელჰყო, რომ ამ აზრის განხორციელება ამგვარის საშუალებით ყოვლად მოუხერხებელი საქმეა და კიდევაც ამიტომ საზოგადოებამ ზურგი შეაქცია ამ სასწავლებლებს.

ჩვენ თავის დროზედ დაწვრილებით შევეხეთ ამ სასწავლებლების ორგანიზაციას და აღვნიშნეთ, რომ ამ სასწავლებლებს მოწაფეებად შერჩნენ მხოლოდ სხვა და სხვა სავაჭრო დაწესებულების მოსამსახურენი, რომელნიც ითვისებენ ასეთს განსაზღრულ ლექსიკონს: „მობრძანდით!" „რა გნებავთო?" „რით შემიძლია გემსახუროთ?" და სხვა.

საერო განათლების სამინისტროს, როცა იგი ჩვენს საშუალო სასწავლებლებში „მუნჯურის მეთოდით" სწავლებას აწესებდა, აზრადა ჰქონდა, რომ მოწაფეებს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უცხო ენებზედ ლაპარაკი შეეძლებოდათ... ეს აზრი, რასაკვირველია, აზრად დარჩა, მოწაფეები გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უცხო ენებზედ ლაპარაკს ვერ ახერხებენ და შეუძლებელიც არის მოახერხონ. განა დასაჯერებელია, რომ მოწაფემ სამი-ოთხი გაკვეთილის საშუალებით კვირაში და ისიც გამახსირებულის მეთოდით უცხო ენები იმოდენად შეითვისოს, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლაპარაკიც შესძლოს ამ ენებზე, თუ, რასაკვირველია, მას სხვა რამ განსაკუთრებული პირობები ხელს არ უწყობენ!

ჩვენის აზრით, საშუალო სასწავლებლები თავის მოვალეობას მაშინაც პირნათლად შეასრულებენ, თუ მოწაფეებს კურსის დამთავრების შემდეგ შეეძლებათ შედარებით თავისუფლად იკითხონ უცხო ენებზედ წიგნები. ეს თვითოეულ საშუალო სასწავლებლისათვის შესაძლებელი და მოსახერხებელიც არის, თუ, რასაკვირველია, უარს ვყოფთ იმ გონების გამათახსირებელ მეთოდს, რომელსაც „მუნჯურს მეთოდს" ეძახიან.

ამიტომ, ჩვენის აზრით, თვითოეულმა შეგნებულმა მასწავლებელმა, რომელსაც მოსწავლე ახალგაზრდობის გონების განვითარების საქმე თავის სამღვთო მოვალეობად დაუსახავს, სასტიკი პროტესტი უნდა გამოუცხადოს თვითოეულს სასწავლებელში ამ ყოვლად გამათახსირებელს მეთოდს და უარჰყოს იგი, როგორც ანტიპედაგოგიური საშუალება უცხო ენების სწავლების საქმეში.

ს. მიქაბერიძე.

მეორე ოფიციალური ცნობა

25 სექტემბერს ყუმბარის სროლის შესახებ

25 სექტემბერს ტფილისის სხვა და სხვა ნაწილებში, ერთ და იმავე დროს (ასე საღამოს $7^1/_2$ ს. იქნებოდა), რამდენმამე ბოროტ-მოქმედმა ყუმბარები გადაისროლა იმ ადგილებში, სადაც ყაზახ-რუსები ცხოვრობენ და ამასთანავე რევოლვერები ესროლეს მოდარაჯე ჯარის-კაცთ.

1) ვოდოვოზნი ქუჩაზე, სადაც ყაზახთა პოლტავის მე-2 პოლკის მე-6 სოტნის ყაზარმაა, გადმოგდებულ იქმნა 3 ყუმბარა; დაიჭრა 2 ყაზახ-რუსი, ერთი მძიმედ. ამავე დროს რამდენმამე პირმა რევოლვერები დაუშინა ყაზახთ; მსუბუქად დაიჭრა ერთი ყაზახი. უკანასკნელებმა პასუხი გასცეს და ყაზარმის ახლო მოჰკლეს ერთი მკვიდრი, როგორც სჩანს—მუშა, რომელსაც უნახეს პასპორტი პიტო მურზანაშვილის სახელზე; იქვე ეგდო გაუსკდარი ყუმბარა. ხმაურობაზე მოვიდნენ საპიორთა ბატალიონის ჯარის კაცნი და შეჰკრეს ის უბანი, სადაც ეს ამბავი მოხდა. შემდეგ ჟანდარმებმა და პოლიციამ დაათვალიერეს და გასჩხრიკეს ამ უბნის სახლები, სარდაფები, სარაიები, სახლის ბანები, მაგრამ ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინეს. ყაზარმის ახლო ვიწრო ქუჩაში აღმოაჩინეს მკვიდრი, რომელიც დამალვას აპირებდა; ის აღმოჩნდა საგონელიძეს საკანდიტეროში მსახურად პლატონ ჩახანელიძე, რომელმაც თავისი ადრესი არ გამოაცხადა სავსებით და სთქვა მხოლოდ, ჩუღურეთში ვცხოვრობო; როცა დაატუსაღეს, დაუჯერებელი პასუხი გასცა პოლიციას: ვერაზე ვიყავ ნაცნობებთან და იქიდან მოვდივარო; გაჩხრეკის დროს ჯიბეში სასტვენი აღმოაჩნდა. ხსენებულ სოტნის ერთმა ყაზახმა განაცხადა, ეს კაცი ორი დღეა ჩვენ ყაზარმის წინ ეტლით დასეირნობდა და რაღაცას ათვალიერებდაო; დატუსაღებულმა ეს ამბავი უარჰყო. ერთმა მცირე წლოვანმა მოწმემ სთქვა, სწორედ ამ დატუსაღებულმა კაცმა გადააგდო ყუმბარებიო. ამ ადგილას დაჭრილ იქმნა ყაზახ-რუსები: სპირი, შელუდკო და სერედა; უკანასკნელი მალე მოკვდა.

2) ვორონცოვის ქუჩაზე, პოლტავის მე-3 სოტნის სადგომის შესავალთან გადაისროლეს ორი ყუმბარა, რომლით დაიჭრნენ ყაზახ-რუსი გრიგორენკო და დარაგუნი დიმიტრი ვაშაკიძე; უკანასკნელს ცხენიც მოუკლეს. იმავე დროს ყუმბარა ესროლეს ხსენებულ სოტნის საჯინიბესაც, სადაც დაჭრილ იქმნა ორი ჯარის-კაცი. იქ მყოფთა სიტყვით, უკანასკნელი ყუმბარა ისროლეს

ვინმე ვართაზაროვის სახლიდან. დატუსაღებულ იქმნენ: სპარსეთის ქვეშევრდომი ავაქ არუშანოვი, რომელმაც, სალდათების სიტყვით, ერთი ყუმბართაგანი ისროლა, და სენაკის მაზრის გლეხი ხორცანია, რომელიც ვართაზაროვის სახლში, ისრაელიანცის ბინაზე, იმალებოდა; ისრაელიანცმა სთქვა, ამ კაცს არ ვიცნობ, ყუმბარა რომ გაისროლეს, შემოვარდა და დაიმალაო. ვართაზაროვისავე სახლიდან ყაზახებს რევოლვერები დაუშინეს.

3) ერმოლოვის ქუჩაზე, სადაც ნამესტნიკის ამალის ყაზახ-რაზსები სდგანან, ქუჩაზე გამოსულ ყაზახთ ვიღაც უცნობმა პირმა ყუმბარა ესროლა; მოკლულ იქმნა ერთი ყაზახი, ხოლო დაიჭრა თეთმეტი; აქვე ყუმბარის ნატეხებით დაიჭრნენ: სთადარიგო ჯარის კაცი, მისი მცირე-წლოვანი ბავშვი და ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში მსახური ეჯუბოვი. 26 სექტემბერს ამავე რაიონში იპოვნეს ორი გაუსკდარი ყუმბარა: ერთი არამიანცის სახლთან, მეორე—პარალელურს ქუჩაზე ცივცივაძის სახლის ახლო.

4) სწორედ იმ დროს, როცა ზემო აღნიშნული ყუმბარები გადაისროლეს, გოლოვინის პროსპექტზე, ანანოვის სახლის სახურავიდან და ამ სახლშივე მცხოვრებ ბეკლიაროვის ბინიდან ესროლეს მოდარაჯე ჯარის კაცთ, ამათაც უპასუხეს. ცოტა უფრო გვიან რევოლვერები ისროლეს სასტუმრო „ანგლეტერ“-იდანაც. ორივე შემთხვევაშიაც დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს და ჩხრეკამ უშედეგოდ ჩაიარა.

სხვა ქუჩებზედაც აქა-იქ, იყო სროლა, რაზედაც ჯარის კაცებმაც პასუხი გასცეს. ეს სროლა, ალბად, იმიტომ ასტეხეს, რომ პოლიციისა და ჯარისათვის გზა-კვალი აებნიათ.

კერძო პირთაგან ქუჩებში მოჰკლეს ოთხი კაცი. დაჭრილ იქმნენ: მხატვარი პარმაზანოვი, ბავშვი სოლომონოვი, არტისტი ბოიარსკი და ობერ-პასტორი მიულლერი. ყველა ესენი ტყვიით არიან დაჭრილნი. მიულლერი მოკვდა.

ახალი ამბავი

◆ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, **შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნება სენატორი სტიშინსკი**, პოლიციის მინისტრად გენერალი ტრეპოვი, ხოლო იუსტიციის მინისტრად—ბარონი ნოლდე. სტიშინსკი მინისტრის ამხანაგად იყო პლევეს დროს. იგი დიდი თაყვანის მცემელია პლევეს პოლიტიკისა.

◆ „კავკ.“-ის ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილია **ტფილისის გენერალ-გუბერნატორის გენ. ჟილიპის შემდეგი განცხადება**: „1. ვაუწყებ ყველას, რომ სავსებით შეასრულონ ჩემ წინამოადგილესთა მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი. **განსაკუთრებით მოვაგონებ ყველას**, თუ ხალხის ბრბო არ დაემორჩილება პოლიციას ან სამხედრო მოხელეთა ბრძანებას და არ დაიშლება, ძალით იქნება გაფანტული. თუ ხალხმა ძალა იხმარა, ჯარი იარაღს მიჰმართავს. 2. ველოსიპედისტებს უსათუოდ უნდა ჰქონდეთ ნომრები, ხოლო საყვირის ნაცვლად—ზარი. **აკრძალულია ველოსიპედით სიარული მზის ჩასვლის შემდეგ**. ვინც ამას არ შეასრულებს, ველოსიპედი ჩამოერთმევა. ეს დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან“.

◆ ამ ჟამად პეტერბურგში, ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით, **ნავთის მრეწველთა კრებაა**. კავკასიის ადმინისტრაციას ამ კრებისთვის წარუდგენია პროექტი იმ ზომებისა, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელია ნავთის სამრეწველოების რაიონში ნორმალურ წეს-რიგის დამყარება. პროექტში შემდეგი ოთხი მუხლია: 1. გრადონაჩალნიკობის დაწესება ბაქოს და სამრეწველოებში; 2. დაწესება მეეზოვეთა მეტისა (ისეთის, როგორც პეტერბურგშია); 3. პოლიციის რეორგანიზაცია და პოლიციელთა რიცხვის გადიდება, რისთვისაც საჭიროა ერთი მილიონი მანეთი; 4. დანიშვნა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისა ბაქოს ნავთის-მრეწველთა საბჭოში. ამ წარმომადგენლებს უფლება უნდა ჰქონდეთ გააუქმონ ყოველივე ადმინისტრატიული განკარგულება, რაც-კი ნავთის სამრეწველოებს შეეხება.

◆ როგორც ვწერდით, იმ ინციდენტის გამო, რომელიც 28 სექტემბერს მოხდა ვაჟთა მეორე გიმნაზიის **მოსწავლეთა და ყაზახთა შორის**, ამ გიმნაზიის მოსწავლეებმა სწავლა შესწყვიტეს. ინციდენტის ამბავმა აღელვა ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებლის მოსწავლენი და გუშინდლიდან სწავლა შესწყდა ვაჟთა გიმნაზიებსა, ქართულ კერძო გიმნაზიასა, რეალურ, საკომერციო, სახელოსნო და საქალაქო სასწავლებლებში. მოსწავლენი აცხადებენ, რადგან ჩვენი პირადობის ხელუხლებლობა უზრუნველ-ყოფილი არ არის, სწავლას ვერ განვაგრძობთო.

◆ როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, **თიანეთის მაზრაში ზაფხულობით კარგა ბლომა ჯარი იგზავნება** ხოლმე. აღნიშნულ ჯარს ტფილისში დაბრუნებისას აუარებელი ურმები სჭირდება ბარგის გადმოსაზიდად. სამხედრო მთავრობა ადმინისტრაციის შემწეობით ახლო-მახლო სოფლებისაგან თხოულობს ურმებს. რადგან საზოგადოდ თიანეთის მაზრა მთიან გორიანი ადგილია, ბევრ გლეხს ურემი არა აქვს და ბევრმაც ხმარებაც არ იცის ურმისა. მთავრობა-კი ძალით თხოულობს ურმის გამოყვანას. ამის გამო, რა თქმა უნდა, გლეხები დიდ ტანჯვაშია ხოლმე. ახლა სოფლელებს შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე, გაინთავისუფლონ ჯარის გადასვლის დროს ურმების ბეგრისაგან, რადგან უამისოდაც ძლიერ შეწუხებულნი არიან ყოველნაირ გადასახადისა და უმიწაწყლობისაგან. როგორც გავიგეთ, სამაზრო ადმინისტრაციასაც მხარი დაუჭერია ამ შუამდგომლობისთვის.

◆ ამ დღეებში **საბჭოს ხმოსნებად ნამყოფთ** კერძო თათბირი ექმნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობებში შეიძლება სამსახურიდან გადადგომის განცხადება უკვე დაიბრუნონ და განაგრძონ საბჭოს სხდომები.

◆ ამ ჟამად, მიწათ-მოქმედების მთავარ სამმართველოს რწმუნებულის თავმჯდომარეობით მუშაობს განსაკუთრებული კომისია. კომისიამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი **ჩრდილოეთ-კავკასიის მთიელთა მოწყობის** შესახებ მიწა-წყლის მხრივ. კომისიაში მთიულთა არც ერთი წარმომადგენელი არ არის.

◆ „რუს. ვედ.“-ში დაბეჭდილია: „ირკუტსკის სამღვდელოების კრება **ტფილისში მომხდარ სამწუხარო ინციდენტის** გამო, რომლის დროსაც სამღვდელოების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ძალმომრეობა იხმარეს, თავის მოვალეობად სთვლის გულწრფელი თანაგრძნობა გამოუცხადოს ქართველ ეპარქიის სამღვდელოებას ამაღელვებელ ძალმომრეობისა და ცემა-ტყეპის გამო. ამას გარდა კრება ჰკიცხავს ყაზახთა საქციელს, რომელთაც ხელმძღვანელობდა სემინარიის რექტორი ნიკანდრი, ამის შემდეგ ეპისკოპოსად დანიშნული“.

◆ როგორც გუშინა ვწერდით, წელს ტფ. **სათავად-აზნაურო გიმნაზიაში თოთხმეტმა კაცმა გაათავა** სწავლა და თოთხმეტმავე მიიღო ატესტატი; აქედან ცხრა კაცმა—თვით სათავად-აზნაურო გიმნაზიაშივე, ხოლო ხუთმა—მთავრობის გიმნაზიებში. გუშინ გიმნაზიაში, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის და ოლქის ინსპექტორის სლავინსკის თანადასწრებით, ამ ცხრა კაცს ატესტატი დაურიგეს. აი, ამათი გვარები: გ. ბარათაშვილი, ა. ბეშკენაძე, კ. ხუციშვილი, ე. რუსიშვილი, ა. ციციშვილი, ი. ჯავახიშვილი, ზ. ფარესაშვილი, ვ. ფალავანდიშვილი და ა. კეკელია. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში პირველი შემთხვევა იყო, რომ მზრუნველი აქტს დაესწრო. ატესტატების დარიგების დროს სიტყვები წარმოსთქვეს მზრუნველმა და ბ-ნმა ნათაძემ. ამ უკანასკნელმა-ქართულად. აქვე მოგვყავს მზრუნველის სიტყვა.

„მოგილოცავთ სიმწიფის მოწმობის მიღებას. ჩემთვის სასიამოვნოა მოგმართოთ ამ სიტყვებით თქვენ სამშობლო სასწავლებელშივე. ძლიერ მიხარული ვარ, რომ თქვენი სასწავლებლის მოწაფენი ეხლა თავისუფალნი არიან იმ ხათაბალისაგან, რომელიც აქამდის აუცილებელი იყო ატესტატის მისაღებად. თქვენ ყველანი, ალბად, უმაღლეს სასწავლებელში შეხვალთ. მაშ ნება მიბოძეთ, ერთის თხოვნით მოგმართოთ: ნუ დაივიწყებთ წიგნს! ჩვენმა საზოგადო ცხოვრებამ საზოგადოების ყველა წრე აამოძრავა; ნურც თქვენ დარჩებით გარეშე, მაგრამ გახსოვდეთ ერთი რამ: დამოუკიდებლად შეიმუშავეთ თქვენი აზრი და რწმენა; ნუ დაემორჩილებით ყოველს მიმდინარეობას წარამარა, ცხოვრების კითხვები კრიტიკულის თვალით განიხილეთ და ამ გზაზედ თქვენი საუკეთესო მეგობარი იყოს წიგნი. თუ საჭირო იქნება ჩემი დახმარება თქვენთვის უნივერსიტეტში შესასვლელად, სიამოვნებით დაგეხმარებით, ნურც მერიდებით. ეხლა თქვენც მოგვილოცეთ ჩვენ; ჩვენს შორის წინანდელი გამოურკვეველ მდგომარეობის მაგიერ, რის გამოც ხშირად ერთმანეთისა არა გაგვეგებოდა-რა, ეხლა დამყარდება ნორმალური დამოკიდებულება, რაც ჩვენთვისაც სასურველია; ამ შემთხვევასაც არ შეიძლება არ მივესალმოთ“.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ 24—25 სექტემბერს, სურამში განიხილა საქმე დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულის ხე-ტყის ქარხნის კანტორის მოხელის ანდრია ქვანიასი, რომელსაც ჰბრალდებოდა მუშებთან შეთანხმებით ყალბის ცნობების შედგენა და ფულის გაფლანგვა. ქვანიას გარდა **პასუხის გებაში მიცემული იყვნენ მუშები** გორის მაზრის მცხოვრებნი გ. დიაკონაშვილი, სიმონ კორაშვილი, დ. ხეთაგური, გ. კუბარიტაშვილი, დიმიტრი ჯანგობეგაშვილი, ნიკო, ვასილ, ლაზო და სოლომონ ჯანგობეგაშვილები, ფიდო თედეშვილი, ანტონ კოზანაშვილი, ზაქარია კოზანაშვილი და ხითარ თათაშვილი. რადგან დავით ხეთაგური, მიხა კუბარიტაშვილი, დიმიტრი ჯანგობეგაშვილი და ფიდო თედეშვილი არ გამოცხადნენ, მათ შესახებ საქმე სხვა დროისათვის გადაიდო. დანარჩენთა შესახებ სასამართლოში გამოირკვა, რომ ბრალდებულ ფულის გაფლანგვაში არავითარი დანაშაული არ მიუძღვით. სასამართლომ ყველანი გაამართლა.

◆ გუშინ, 29 სექტემბერს, ნამესტნიკის საბჭოში **დაიწყო კრებები მაჰმადიანთა კაზიებისა** და სხვა სასულიერო პირებისა. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი მაჰმადიანთა სასულიერო მართვა-გამგეობის რეორგანიზაციის შესახებ.

◆ როგორც ეხლა აღმოჩნდა, სასინოდო კანტორის **ხაზინდარს**, უკვე აღნიშნულს გარდა, 10,000 მანეთი კიდევ სხვა გაუფლანგავს. ეს სამღვდელოების ჯამაგირი ყოფილა.

◆ ტფ. ქალაქის საბჭოს კომისიამ წარუდგინა გამგეობას მოხსენება **„ვაკეს“ შემოერთების** შესახებ. კომისია სწერს, „ვაკე“ ქალაქს დიდ სარგებლობას მოუტანს, რადგან ყოველ წლობით მიიღებს 15,000 მან. დასაფასებელს და ამდენსავე სხვა გადასახადს. თუმცა „ვაკე“-ს მოსაწესრიგებლად ქალაქს დიდი ხარჯი მოუვა, მაგრამ ხარჯის ერთს ნაწილს თვით მცხოვრებნი იკისრებენ. პროექტით, ვაკეში განზრახულია სამი ბაღი. რაც შეეხება საეკლესიო, სასაფლაო, სასკოლო და სხვა ამგვარ ადგილებს, კომისიის აზრით, შეიძლება ამ ადგილების გეგმაში შეტანა.

◆ 23 სექტემბერს სოფ. ხურვალეთში (ქართლი), როგორც გვატყობინებენ, სამი კაცი,—**ორი ოსი და ერთი ქართველი**—**დასცემია** ილ. ქარუმიძისა და ს. მაღალაშვილის სახლს. ილ. ქარუმიძისსახლიდან წაუღიათ ერთი თუმანი ფული. იქვე გაუუპატიურებიათ მოსამსახურე გოგო. შესვლისას უთქვამთ, ჩვენ წითელი რაზმის კაცები ვართო. წასვლისას-კი დაუშინებიათ, წითელი რაზმის წევრებს არ უთხრათ, აქ ვიყავით, თორემ გაგაქრობთო. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს, როგორც გვწერენ, ქართლში ძალიან გამრავლებულან ხულიგანები და სხვის ქონების მოტრფიალენი. საკვირველია, რომ სოფლის მიერ არჩეული კაცები ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ...

◆ სამხედრო სასამართლომ 7 სექტემბერს ქუთაისში ბენიამინ ჩხარტიშვილს **ჩამოხრობა გადაუწყვიტა**. ჩხარტიშვილს ჰბრალდებოდა ოზურგეთის მაზრის უფროსის ქელბაქიანის გაძარცვა. ნამესტნიკმა ეს სასჯელი 15 წლის კატორგით შეუცვალა. 15 წლის კატორგითვე შესცვალა ნამესტნიკმა სასჯელი ალექსანდრე აზაკოლოვისა, ალექსანდრე მელქაძისა და ვლადიმერ [illegible]ისა, რომელთაც სამტრედიაში გვალიას მოკვლა და სულავას გაძარცვა ჰბრალდებოდათ და რომელთაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრობა გადაუწყვიტა.

◆ **სასამართლოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია** ვლადიმერ გოთუასათვის. სასამართლოს გადაწყვეტილება „ნ. ვ.“-ს სიტყვით, ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორს კატორგად შეუცვლია.

◆ **სახალხო კითხვათა საზოგადოების** გამგეობამ 28 სექტემბერს დაადგინა, სახალხო კითხვათა პროგრამების შედგენა მიანდოს სექციებს. სექციებმა მოხსენებანი გამგეობას უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად 3 ოქტომბერს.

◆ როგორც „ინვ.“-შია გამოცხადებული, **ომში უკვალოდ დაკარგულა** შორაპნის მაზრის მცხოვრები სამსონ კუპრაძე და ოქრობილაშვილი და დაჭრილა შორაპნის მაზრისავე მცხოვრები ირაკლი ოსაძე.

◆ როგორც გავიგეთ, თიანეთის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელი შუამავალი თავ. ალექსანდრე ჯორჯაძე, რომელიც აგერ ექვს თვეზე მეტია დროებით სიღნაღის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელ შუამავლობას ასრულებს, დატოვებულ იქნა სიღნაღის მაზრაში, ხოლო იქაური შუამავალი შახმალიევი სხვა მაზრაში გადაჰყავთ.

◆ სახელოსნო სასწავლებლის სამღვთო სჯულის მასწავლებლის დეკ. ტყემალაძის ინიციატორობით, დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა, რომ **სამღვთო სჯული ქართველ მოსწავლეებს** ასწავლონ სამშობლო ენაზე.

◆ „თარაზ“-ისა და „ალბიურ“-ის რედაქტორს ნაზარიანცს განუზრახავს ტფილისში **ქალთათვის ხატვის სკოლის დაარსება**. ნაზარიანცს უკვე აღუძრავს შუამდგომლობა ამის შესახებ.

◆ სოხუმის ოლქში **გაუძარცვავთ დრანდის მონასტერი**. ჯერ ცნობა არ არის, რა წაუღიათ და რა არა.

◆ 26 სექტემბრის ღამეს სოფელ ხოვლეში (ქართლი) „ტ. ლ.“-ს სიტყვით, ვიღაც კაცები, სალდათის ალექსი ჯიოშვილის დახმარებით, **დასცემიან შვიდი სალდათისაგან შემდგარ პატრულს**. მოუკლავთ ერთი სალდათი. პატრულს თავის მხრივ მოუკლავს ჯიოშვილი.

◆ **ბათუმის ქალაქის მოურავი თავ. ანდრონიკაშვილი** 24 სექტემბერს პეტერბურგს წასულა. 30 სექტემბერს იგი უნდა დაესწროს სანავთსადგურო საქმეთა კომიტეტის სხდომას.

◆ **გურია-სამეგრელოს ახალი ეპისკოპოსი** გიორგი ოქტომბრის შუა რიცხვებში აპირებს თავის ეპარქიაში წასვლას.

◆ 18 სექტემბერს დუშეთის საპყრობილიდან გაპარულა პატიმარი გამბიტაშვილი, რომელსაც ჰბრალდებოდა თავად შალვა ერისთავის მოკვლის განზრახვა.

◆ ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ალოშევსკი ერთის თვით შიდა რუსეთში გაემგზავრა. იმისი თანამდებობის ასრულება მიენდო საგუბერნიო სამმართველოს უფროს წევრს.

ფელეტონი

მოსკოვის უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი და ბიუროკრატია.—რას თხოულობდა სტუდენტობა წინად.—რას წარმოადგენდა უნივერსიტეტი 20 წლის განმავლობაში.—რა არის უნივერსიტეტის ავტონომია.—სტუდენტთა ყრილობები და სხვა და სხვა მიმართულება.—ცოტაც და სისხლი დაიღვრებოდა.—უნივერსიტეტის დაკეტვა.—საქმე გამწვავებულია.

სწორედ რვა თვე გავიდა, რაც რუსეთის უნივერსიტეტის აუდიტორიები დაიკეტა და შესწყდა ლექციების კითხვათა ნორმალური დენა. რვა თვეა, რაც ფაქტიურად უნივერსიტეტი აღარ არსებობს. ის მიზეზები, რომელმაც გამოიწვია უნივერსიტეტში სიცოცხლის შეწყვეტა, ეხლაც არ გამქრალა, და ჩვენის ბიუროკრატიამ არავითარი ღონე არ იღონა თავიდან აეცდინა ის უბედურება, რომელიც უნდა დასტეხოდა და დაატყდა კიდეც უნივერსიტეტს. ამ რვა თვის განმავლობაში ბიუროკრატიამ სტუდენტებისა და საზოგადოების ყურადღება მარტოოდენ მუქარით ჰკვება. გამოქვეყნებული იყო, რომ თუ გინიცობაა სტუდენტები სწავლაზე უარს განაცხადებენ, უეჭველად სერიოზულ ზომებს მივიღებთ სწავლის განსაახლებლად. თუ პროფესორთა კორპორაციამ მხარი დაუჭირა სტუდენტებს, ყველას დავითხოვთ და იმათ ადგილას საზღვარ-გარეთელ პროფესორებს დავაბარებთო. კიდევ ბევრი სხვა მუქარა გამოიგონა ამგვარ საქმეებში დახელოვნებულმა ბიუროკრატიამ, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. სტუდენტების უმრავლესობა მედგრად იდგა ერთხელვე ამორჩეულ გზაზე და არავითარ კომპრომისს არ იკარებდა.

იყო დრო, როდესაც სტუდენტობა მარტოოდენ აკადემიურ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების გზას ადგა და იმისთვის, როგორც სტუდენტობისთვის, არ არსებობდა პოლიტიკური საკითხი. იყო ეს დრო და სამუდამოდ წავიდა; ჟამთა დენამ, დროთა სრბოლამ შთანთქა იგი, და იმის მაგიერად მთელის თავისის სიდიადით წამოაყენა პოლიტიკური საკითხი, ის საკითხი, რომლის ფრიად მგრძნობიარ და სასტიკ შედეგს ყოველწამს თვით სტუდენტობა განიცდიდა ხოლმე. რაკი სტუდენტობა ერთხელვე ამ გზას დაადგა, გვერდზე აღარ გადაუხვევია, და ამ რიგად მანაც გამოუცხადა ბრძოლა ბიუროკრატიას. არავითარმა სასჯელმა არ იქონია გავლენა ბიუროკრატიაზედ; იგი ყოველგვარ სასტიკ ზომას ხმარობდა, რომ როგორმე ჩაექრო და ძირიანად ამოეფხვრა ეს სტუდენტთა „კრამოლა“. ამისთვის მან გამოსცა „დროებითი დადგენილებანი“, რომლის ძალითაც არეულობაში ჩარეული სტუდენტები იგზავნებოდნენ სალდათებად და ისჯებოდნენ ამ სამსახურის ყოველგვარ სასტიკობით. არ დაუკლია არც ციხეები, არც საპყრობილეები და არც ციმბირი.

აი, ბატონ ბიუროკრატიის ამგვარმა საქციელმა გამოიწვია ის, რაც წელს იანვარში მოხდა. 9 იანვრის ამბებმა აავსეს მოთმინების ფიალა. სტუდენტობა გაიფიცა. უნივერსიტეტი დაიკეტა. შესწყდა მეცნიერების ტაძრის მაჯის ცემა.

ბიუროკრატიას ეგონა, ეს მოვლენა დასაბერია, ხანმოკლეა, იაპონიის ფულით გამოწვეული, და როგორც ასეთი—გარდამავალი, მაშასადამე, მუქარა თავისას იზამს და ხელს შეუწყობს იმის ბოლოს მოღებასაო. მაგრამ საქმემ სულ სხვა დაინახვა და აი სწორედ ორი-სამი საათის წინ სწავლამდე გამოიცა ბრძანება, რომლითაც გამოცხადდა დროებითი დადგენილებანი უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ. მიანიჭა უნივერსიტეტს ის, რისაც იგი დაჟინებით ითხოვდა ამ რამდენისამე წლის წინად. მაშინ ბიუროკრატიამ არა სცნო საჭიროდ ავტონომიის მინიჭება, ეხლა კი თვით სტუდენტობამ აღარ ჩასთვალა საკმაოდ ამგვარ ნაბოძების მიღება. თქმა არ უნდა, ბიუროკრატიის ასეთმა მოქმედებამ გავლენა იქონია ზოგიერთ სტუდენტზე, რომელთა მოთხოვნილებანი არ აღემატებოდა ამგვარ მოთხოვნილებებს, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ პროგრესიული სტუდენტობა დაკმაყოფილდა. სრულიადაც არა: პირიქით, ეს ნაწილი სტუდენტებისა უფრო დარწმუნდა, რომ იგი ძლიერს ძალას წარმოადგენს, იმდენად ძლიერს, რომ თვით ბიუროკრატია მოვალეობად სთვლის თავის თავს, ყურადღება მიაქციოს იმის სურვილს და მოთხოვნილებას. მან იგრძნო, რომ ეს ავტონომია უნივერსიტეტისა ძალით მოიპოვა და იმედოვნებს, რომ ასევე მოიპოვებს უფრო მეტსაც.

აი, დაახლოვებით, ამ მდგომარეობაში იყო უნივერსიტეტი სწავლის დაწყების წინა დღეებში, ე. ი. სექტემბრის დამდეგს. საზოგადო ყრილობებზე სტუდენტებმა იწყეს ბჭობა თავის მდგომარეობასა და ტაქტიკაზე. ბევრი დრო და სიტყვები დაიხარჯა ამ ყრილობებზე. ნათლად გამოირკვა ოთხი ძირითადი მიმდინარეობა სტუდენტთა შორის. მეტი არ იქნება, გავაცნოთ მკითხველებს ეს მიმდინარეობანი. ვიდრე ამას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ცვლილება, რომელიც შემოიტანა ავტონომიის მიცემამ უნივერსიტეტში.

რა არის ავტონომია უნივერსიტეტისა?

ავტონომია ის არის, რომ უნივერსიტეტის მართვა-გამგეობის საქმე ხელთ უპყრავს პროფესორთა საბჭოს. პროფესორნივე ირჩევენ თავიანთ შორის უფროსს (რექტორს). ამ საბჭომ უნდა დაიცვას სიმშვიდე და ნორმალური სვლა უნივერსიტეტის ცხოვრებისა. აი, უმთავრესი მუხლი ავტონომიისა. მაშასადამე, იქ, სადაც 1884 წლიდან უნივერსიტეტის ბედ იღბალს განაგებდა პოლიცია, ეხლა განაგებენ თვით პროფესორები. ამ ოცის წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ბატონობდა პოლიცია. ვამბობ—ბატონობდა მეთქი იმიტომ, რომ დაწყებული რექტორიდან, რომელსაც უმაღლესი მთავრობა ნიშნავდა, ვიდრე უკანასკნელ პედელამდე, სულ იმას დაეძებდნენ და სჩხრეკდნენ, რომ როგორმე აღმოეჩინათ არა სასიმედო სტუდენტი, გაეგოთ სად რომელ კრებაზედ რომელმა სტუდენტმა სთქვა სიტყვა და სხვა. ისე დახელოვნდნენ ამ ოცის წლის განმავლობაში, რომ ახლად მოსული სტუდენტიც-კი გაოცდებოდა, ჰკვირობდა, როდესაც მიეგებებოდა პედელი, დაბლა თავს დაუკრავდა და თან იმის სახელს, მამის სახელს და გვარს მიართმევდა ფეშქაშად. რა თქმა უნდა, ადვილი მისახვედრია საიდან იცოდნენ უკვე ეს. უნივერსიტეტში შესვლისას თხოვნასთან ერთად უნივერსიტეტის მთავრობას ოთხი ფოტოგრაფიული სურათი უნდა წარუდგინოს. ისეთი საქციელი, როგორც ხუმად, მალულად ყურის გდება, გასინჯვა ტანისამოსის და წიგნებისა საეჭვოდათ, მუდმივი მოვლენა იყო. ყრილობებზე, დამსწრეთა გასაგებად ინსპექცია არ ერიდებოდა შემდეგ საშუალებას-კი: იმ ოთახის გამოსავალ კარებთან, სადაც კრება იყო ხოლმე სტუდენტობისა, თავს უყრიდნენ ყველა კურსის, ყველა ფაკულტეტის პედელებს. ესენიც იდგნენ და, ვით მეძებარნი, ელოდნენ სტუდენტების გამოსვლას. იდგნენ ხოლმე ოთხი, ხუთი საათი ამ სულისხუთან ზამთარში. გამოდიოდა უშველებელი გროვა სტუდენტებისა და პედელებიც ათვალიერებდნენ მათ შორის „თავიანთ სტუდენტებს“, იხსომებდნენ იმათ გვარებს და, სადაც ჯერ არს, აცნობდნენ.

აი რას შვრებოდა ინსპექცია! ყველა ეს რექტორის საქმე იყო. რექტორი არც იმას ერიდებოდა ცხვირ ზევით, რომ უნივერსიტეტის გზა ყაზახ-რაზმებითა და ჯარებით გავსო მაშინ, როდესაც სტუდენტები, ინსპექციის ნებადაურთველად, თავის კრებასა ჰმართავდნენ. შარშან, 5 დეკემბერს, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორმა, ბ-მა ლახტინმა, უბრძანა, ჩაეკეტნათ უნივერსიტეტის ყველა ალაყაფის კარები. ამ დროს გარეთ არეულობა იყო, ჯარი ამოღებულის ხმლებით ეწეოდა სცემდა სტუდენტებს და ამათ-კი შეძლება არა ჰქონდათ თავი შეეფარებინათ თავიანთ საკუთარ „ტაძარში“.

კიდევ ბევრის და ბევრის მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია.

ამრიგად უნივერსიტეტი ხელიდან გაუსხლტა პოლიციის თვითნებობას და მიიღო ცოტაოდენი თავისუფლება. ეხლა კრებების თავისუფლად გამართვის ნება მაინც აქვთ. წინად სტუდენტებს ნება არა ჰქონდათ მოეთხოვათ რამე მონაწილეობა ეგრედ წოდებულ „ზემლიაჩესტვოში“, ეხლა-კი გაზეთების საშუალებით აცხადებენ და ატყობინებენ ამხანაგებს, შეკრებილან უნივერსიტეტის ამა და ამ დარბაზში თავიანთ საქმეებზედ მოსალაპარაკებლად.

თქმა არ უნდა, ამ ახალმა პოლიტიკამ ბევრის სურვილი დააკმაყოფილა. აი, სწორედ მთავრობის ასეთმა საქციელმა და ამ ავტონომიის მოპოებამ დაჰბადა სტუდენტებში შემდეგი ოთხი მიმდინარეობა ანუ, როგორც ეხლა ეძახიან, ოთხი პლატფორმა.

1 აკადემიზმი. აუცილებლად და დაუყოვნებლივ სწავლის გაგრძელება, რადგან უნივერსიტეტი სწავლისთვის არსებობს და ახალგაზრდობა იქ უნდა იძენდეს მეცნიერებას. მეცნიერების „ტაძარი“ არ უნდა შეიბღალოს.

2. გაფიცვა. უნივერსიტეტი უნდა დაიკეტოს, რადგან ნორმალური მიმდინარეობა უეჭველად შეუძლებელია თანამედროვე წესწყობილების დროს.

3. რევოლუციონური აკადემიზმი. სწავლაც და პოლიტიკური განვითარებაც ერთად უნდა მიმდინარეობდეს და, რამდენადაც შესაძლო იქნება, ერთი მეორეს ხელს არ უნდა უშლიდეს, რადგან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკურ აღზრდას.

4. რევოლუციონური ტრიბუნა. უნივერსიტეტი თანამედროვე წესწყობილებასა და ეხლანდელ მდგომარეობაში უსათუოდ უნდა მისდევდეს პოლიტიკურ განვითარება-მომზადებას. უნივერსიტეტმა ფართოდ უნდა გაუღოს კარი, რაც შეიძლება მეტ სტუდენტობას და აღზარდოს, მოამზადოს იგი პოლიტიკურ ბრძოლისთვის, რადგან ამის საჭიროებას თვით ცხოვრება მოითხოვს. ეს ბრძოლა უნდა გამოტანილ იქნას ქუჩაში. უნივერსიტეტი არას გზით არ უნდა დაიკეტოს, იგი ღია უნდა იყოს და მისი სვებედი უნდა თვით სტუდენტებს ებაროთ. თუ უნივერსიტეტი დაიკეტა, მაშინ სტუდენტობას შეძლება აღარ ექნება ერთგვარად იმოქმედოს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა უნივერსიტეტი ღია იყოს და სტუდენტობამ თავის საჭიროებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ავლაბრის ახლად დაარსებულ პროგიმნაზიაში მოსწავლეთა მიღების დროს ხელმძღვანელობენ სამართლიან პრინციპით: უპირატესობას აძლევენ ავლაბრელებს, მერე ნავთლუღელებს და ხარფუხელებს. თუ ადგილი დარჩა, სხვა უბნელებსაც მიიღებენ.

◆ წარსულ კვირაში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ სიღნაღში განიხილა საქმე ივანე ვაჩნაძისა, რომელსაც თავის მეზობლის თავ. გასით ვაჩნაძის მოკვლა ჰბრალდებოდა. სასამართლომ გაამართლა ვაჩნაძე.

◆ ბაქოს გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის გამგედ დაინიშნა ნამესტნიკის კანცელარიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი რაშევსკი.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, აბანოების ქუჩაზე, სიღნაღის მაზრის მცხოვრებს გივი კონჩაშვილს თავის დუქანში ჩხუბი მოსვლია გერასიმე სარქისოვთან, რომელსაც აუღია დახლიდან დანა და ისე ძლიერ ჩაუკრავს გულში კონჩაშვილისათვის, რომ იგი იქვე გათავებულა. მკვლელი შეიპყრეს.

◆ 28 სექტემბერს, ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებს გრიგოლ ელიბეგოვს ჩხუბი მოსვლია ამავე ქუჩაზე მცხოვრებ ანა ხერალუროვის ქალთან. ელიბეგოვს უძვრია ბებუთი და მოუკლავს ქალი. ელიბეგოვი გაიქცა, მაგრამ მალე დააპატიმრეს.

ს ო ფ ლ ა დ

კახეთი. ლამის არის დღევანდელ ცხოვრების უკუღმართობამ ძმა ძმას გადაჰკიდოს, მეზობელი მეზობელს და სოფელი—სოფელს. ისეა მოუწყობელი ჩვენი სოფელი, რომ არ იციან, რომელს რამდენი დედულ-მამული უჭირავს. ხშირად ერთსა და იმავე ადგილს ორი სოფელი ან ორი წოდება ჩემულობს, მოსდით ამაზე უთანხმოება და უბედურება ტრიალდება. წინად ყველას მიწა უხვადა ჰქონდა, რამდენსაც უნდოდა, ამუშავებდა, ეხლა-კი მიწის სიმცირემ ყველგან იჩინა თავი. სოფელი გამრავლდა, მიწა-კი მოილია, ფიტი გამოეცალა, ამისთვის სოფელს მეტი მიწის დამუშავება უხდება და ეს-კი აღარა ჰყოფნით. ამ საგანზედვე აღმოცენდა აგრარული მოძრაობა კახეთში. წინად ერთი სოფლის სათემო მიწას მეორე ამუშავებდა, რადგან პირველს არა სჭირდებია, ზოგს მამული დაუჩემებია კიდეც. ეხლა-კი ორივეს ერთნაირად უჭირთ ეს მიწა, მოსდით ამაზე უთანხმოება და ხშირად საქმე იქამდე მწვავდება, რომ შეტაკებაც ხდება.

გავიხსენოთ შაშიანის და კალაურის შეტაკება ამ 7-8 წლის წინად: რამდენიმე წლის განმავლობაში ისე იყო გამწვავებული საქმე, რომ ვისაც სადავო მამულში მოახელებდნენ, ქვითა და კეტით აშეშებდნენ. გავიხსენოთ აგრეთვე ბაკურის და ვანთის ამბავი 1904 წელს. ამ ტყესა, ადგილსა და წყალზე შეტაკების დროს იხმარეს თოფი და ცივი იარაღი, ერთი მოკვდა და რამდენიმე დაიჭრა. გავიხსენოთ ქვემო ხოდაშნელებისა და წინანდლელების შეტაკება 1903 წელს. დასჭრეს ერთმანეთი და სხ. ასე ეხლა—კიდევ ყარაჯალასა და ფშაველებს შორის დამოკიდებულება ძალზე მწვავდება და თუ მალე არ მოეღო ბოლო ამ საქმეს, ადვილად შესაძლებელია უბედურებაც დატრიალდეს.

ყარაჯალაში სცხოვრობენ თათრები, რიცხვით 279 კომლი. ესენი ამუშავებენ ს. ფშაველების მიწებს. ს. ფშაველი ყარაჯალის გასწვრივ ძევს, ალაზანს იქითა მხარეს და შეიცავს 170 კომლს. ამათი სოფლის ბოლო ძრიელ მარჯვეთაა ყარაჯალელებზე. ყარაჯალელ თათრებს რაღაცნაირად დაუჭერიათ ფშავლის ბოლო. ჯერ გირაოდ აუღიათ, ზოგს ჩალის ფასად ჩაუგდია ხელში რამდენიმე დღიური, შემდეგ თან და თან მეტი უხნავ—უთესიათ (ფშაველების სიტყვით, მიწის ქირა უძლევიათ) და ამ ნაირად ფშავლის ბოლოზე ასე 300-მდე დესეტინა დაუჭერიათ. ამ რამდენისამე წლის წინად, როცა გამიჯვნელი კომისია მუშაობდა, ფშავლის მცხოვრებთ დავა გამოუცხადებიათ თავის ადგილზე. დაუწყიათ საჩივარი, გაბმულა სასამართლოებში პროცესი. თითქმის ყველა ინსტანციაში ფშაველების სასარგებლოდ გადაწყვეტილა საქმე. მაგრამ ყარაჯალელი თათრები იძახიან, ძველი დროიდან მიწა ჩვენია, ვსარგებლობთ კიდეც და ეხლა სხვები იჩემებენო. ფშაველები თავის მხრივ ამბობენ, ჩვენ საკუთარ მიწასთან ვის რა ესაქმებაო.

ეს ხუთ წელზე მეტია, რაც უთანხმოება აქვთ, ხან ერთი-ერთმანეთის საქონელს იჭერენ, ხან ჩხუბიც მოსდით და აქვთ ერთმანეთში განუწყვეტელი ჩივილი. ეხლა საქმე, როგორც „ცნ. ფურცელ"-შიაც იყო მოხსენებული, უფრო გამწვავდა. ამ ორი კვირის წინად ამ ადგილზე გადაიწვა თივები, საქონლის ბინები და ერთი წისქვილი, ერთი კაციც მოჰყოლიყო წისქვილში. თათრებს ეჭვი ფშაველებზე აქვთ, ესენი კი ირწმუნებიან, მაგ საქმეში ჩვენ წილი არ გვიდევს და ალალ-მართლები ვართო. ამ საქმის გამო სახელმწიფო ქონებათა უწყების საგანგებო მოხელე, მომრიგებელი შუამავალი, ამ დღეებში კიდევ მაზრის უფროსი, თანაშემწე და ბოქაული ყაზახებით ჩავიდნენ ადგილობრივ, გამოუძიებიათ, მაგრამ მაინც საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტიათ საკითხი და, როგორც გადმოგვცეს, საგუბერნიო მთავრობისათვის უთხოვნიათ გამმიჯვნელ კომისიის გამოგზავნა ადგილობრივ საქმის გასაცნობად და ამ დავის გადასაწყვეტად. ჯერ-ჯერობით ამ მამულით ვერავინ სარგებლობს, რის გამოც ორივე მხარე წამდაუწუმ ჩამოდიან მაზრის ადმინისტრაციასთან ამ საქმის გამო.

ასეა საქმე და თუ მალე არ ეშველა და ერთხელ და ერთხელ საბოლოოდ არ გადასწყდა ეს მწვავე საკითხი, ადვილი შესაძლებელია, საქმე უმეტესად გამწვავდეს და რაიმე უბედურება დატრიალდეს. მერე ეხლა უფრო სახიფათოა ეს, რადგან ერთ მხარეს ქართველები არიან, ხოლო მეორე მხარეს—თათრები. არაფრით არ არის სასურველი, რომ მათ შორის ურთიერთობა სამუდამოდ გამწვავდეს. **კიდევ.**

სოფ. კასპი (ქართლი). როგორც უკვე ვწერდით, სოფ. კასპში დაეცნენ ადგილობრივ მცხოვრებთ, თავად-აზნაურებს, რკინის გზის მოხელეებს და თოფ-იარაღი წაართვეს. მალე ყაზახები ჩამოიყვანეს და ქალაში დააბინავეს. ამის შემდეგ ვიღაცეები დაეცნენ ურემს, რომელზედაც ყაზახთა კარვები ეწყო, და რვა კარავი გაიტაცეს. ეს კარვები ს. ქალაში უნდა წაეღოთ. ამ ამბავმა სოფელში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. რა ზომებს არ მიჰმართეს, მაგრამ ქურდები ვერ აღმოაჩინეს. 24 სექტემბერს აქ კიდევ ჩამოასხეს ყაზახები ხუთი სოტნი. 25 სექტემბერს საქმის გამოსაძიებლად მოვიდა გორის მაზრის უფროსი, ყაზახთა ერთი სოტნით. დაიბარეს სოფელი. რადგან არ შეიკრიბა საკმაო რიცხვი მცხოვრებთა, ათ-ათი ყაზახი დაჰგზავნეს ვენახებში, შეიძლება იმალებიანო, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა. ბევრი მუშაობდა, ბევრი-კი სახლში არ იყო. როგორც იყო, პირველ საათისთვის მოკრიფნენ. ყრილობის აზრი, როგორც მაზრის უფროსმა განაცხადა, ის იყო, რომ უნდა აღმოეჩინათ და წარედგინათ წითელი რაზმის წევრები თავიანთ თოფ-იარაღით და აგრეთვე გადაეცათ კარვები და იმისი ქურდები. ვერც ქურდები და ვერც რაზმელები ვერ აღმოაჩინეს.

ბოლოს დაუფასეს თოფ-იარაღი, კარვები და სოფელს გაწერეს 1050 მანეთი. 18 კაცი, როგორც მეთაურები, დააპატიმრეს და გორის საპყრობილეში გაგზავნეს. ყრილობამ დილის ათი საათიდან საღამოს ათ საათამდე გასტანა და ამ ხნის განმავლობაში გლეხკაცებს ფეხი არ მოუცვლიათ. დაჭერილების ცოლების ტირილს საზღვარი არა ჰქონდა.

დ. ა—ძე

შავი-ქვის მრეწველთა მორიგი კრება

შავი ქვის მრეწველთა მორიგი კრება დილის 11 საათზე დაიწყო. თავმჯდომარეობს კავკასიის სამთა-მადნო გამგეობის უფროსის თანაშემწე მ. ი. ჩენკგერი. დაესწრნენ წარმომადგენლები: სამთო-მადნო უწყებისა—ინჟენერი ცეიტლინი და იმისი თანაშემწე ინჟ. კოლესნიკოვი, ამიერ-კავკასიის რკინის გზისა—ინჟ. ვოლკოვი.

თავმჯდომარემ მიმართა კრებას: სამუშაო ბევრი გვაქვს, ბევრი სერიოზული საკითხი, რაიც თქვენგან დიდ დაფიქრებასა და დაკვირვებას თხოულობს; ამისათვის გთხოვთ გაეცნოთ საქმეებს, ჩაუკვირდეთ, მოიფიქროთ და დამშვიდებით და აუჩქარებლად განიხილოთო. შემდეგ წინადადება მისცა კრებას, მდივანი აერჩიათ. დაასახელეს დ. გ. მდივანი, რომელიც ერთ ხმ. ამორჩეულ იქმნა. კრებამ ვექილობებისა და ხმების შემოწმება ინჟენერ კოლესნიკოვს მიანდო.

ი. კაკაბაძე. რადგან წევრთა დიდი ნაწილი რუსულის მცოდნე არ არის, საქმის სასარგებლოდ, კრება თხოულობს სჯა-ბაასი ქართულ ენაზე სწარმოებდეს.

თავმჯდომარე. რასაკვირველია, ეს მეტად სასარგებლო იქნება საქმისათვის და კერძოდ მეც არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო, მაგრამ რადგან ქართულ ენაზე სჯა-ბაასის ნებართვის უფლების მიცემა კომპეტენციაში არ შედის, ამისათვის თუ გნებავთ, შუამდგომლობას აღვძრავ სამინისტროში.

კრებამ მიიღო ეს წინადადება. დეპეშა ამის შესახებ გუშინვე გაიგზავნა.

წევრებმა განაცხადეს, რადგან დღეს წევრთა ძალიან მცირე რიცხვი გამოცხადდა და მასთან რადგან სარევიზიო კომისიას მოხსენება და საბჭოს მოქმედება გვიან დაგვირიგდა და ვერ გავეცანით, ამისათვის სასურველია კრება ხვალისთვის გადაიდოსო. თავმჯდომარემ შეიწყნარა ეს წინადადება და სხდომა მეორე დღისათვის გადასდო.

მრეწველთა საბჭოს კრებისათვის შემდეგი წიგნები დაუმზადებია: 1. ანგარიში 1903 და 1904 წ. წ. შავი ქვის საბჭოს მოქმედებისა, რომელიც ერთ დიდ ტომს შეიცავს, და 2. „ჭიათურის მცხოვრებთა სტატისტიკური აღწერა" სტატისტიკურ ბიუროს მიერ.

პ რ ე ს ს ა

რუსეთის ლიბერალური და რეაქციონური პრესსა ერთის წლის წინად სომხებს აბრალებდა თავზე სეპარატისტობას და რუსებისადმი სიძულვილს. ეს პრესსა ყოველს უწინარეს თათრებსა და ქართველებზე ჯავრობს; სომხებს გაცილებით ნაკლების სიმკაცრით ეპყრობა, ვიდრე წინად; თათრებსა და ქართველებზე კი, პირიქით, სწორედ ეხლა ილაშქრებს. გუშინ ჩვენ მკითხველებს გავაცანით გაზეთ „ნოვოსტი"-ს აზრი ქართველების სეპარატისტულ მოძრაობის შესახებ. ეხლა გადავთვალიეროთ, რას ამბობს რუსეთის შოვინისტური გაზეთი „ნოვოე ვრემია".

„ნოვოე ვრემია" ვერაფერს სანუგეშოს ვერა ჰხედავს კავკასიის ცხოვრებაში და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხელმეორედ უნდა დავიპყროთ ეს ქვეყანაო. ადვილი წარმოსადგენია, რა საშინელებას, სიმკაცრეს და ძალმომრეობას იგულისხმებს ეს ხელ ახალი დაპყრობა, მაგრამ „ნოვოე ვრემიას" ყოველთვის გუნდრუკი უკმევია საპოლიციო მათრახებისთვის და არც ეხლა უნდა გაგვიოცდეს იმისი სურვილი კავკასიის ხელახლა დაპყრობისა.

„ნოვოე ვრემია" საყვედურს აძლევს კავკასიის პრესას, რომელიც, იმის აზრით, რუსეთის და რუსის ხალხის მტერსა აქვს ხელში ჩაგდებული და ამიტომ არა სცდილობს გამოარკვიოს ნამდვილი მიზეზები აწინდელის ანარქიულ მდგომარეობისა. შოვინისტურ გაზეთს ბრაზი მოსდის, რატომ კავკასიის პრესსა საფუძვლიანად არ იკვლევს მოძრაობას და რატომ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების გადმოცემით, მხოლოდ ქრონიკით. ნუ იფიქრებთ, „ნოვოე ვრემიამ" არ იცოდეს, რომ მიზეზი პრესსის გაჩუმებისა საცენზურო წესდებაშია და საცენზურო კომიტეტში უნდა მოიძებნოს. სუვორინის გაზეთმა ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ მშიერი მგელი ბატკნის უმანკოებას არ დაგიდევს.

რაკი კავკასიის პრესსა ისტორიულად და საფუძვლიანად არ იკვლევს ეხლანდელ მდგომარეობას, ამიტომ „ნოვოე ვრემია" ამ ნაკლს თითონ ასწორებს. რუსეთის მთავრობა კავკასიაში ჯეროვანს შორს მჭვრეტელობას ვერ იჩენდა, გულგრილად უცქეროდა ადგილობრივ ერებში რუსებისადმი სიძულვილის გავრცელებას და ეროვნულ განხეთქილებათა განვითარებასო.

სომხები-კი თავისუფლად და ნაყოფიერად განაგრძობდნენო, ამბობს „ნოვოე ვრემია", კავკასიის ეკონომიურად დაპყრობას და დამონავებას; ქართველი ერები (?) უფრო და უფრო მეტს სურვილს იჩენდნენ „რუსეთის ბორკილის" დამტვრევისას. თანდათან ღუღდებოდა ცეცხლი გულში ჩამარხულის მძულვარებისა და დაუკმაყოფილებელ სურვილებისა. ამავე დროს უცხოეთში სომხის, ქართველების და რუსების სარევოლუციო წრეები ჰგრძნობდნენ, რომ უკვე საკმაოდ მომზადდა ასაფეთქებელი ნივთიერება; ამიტომ ამ წრეებმა დაიწყეს კავკასიაში ინტენსიური მოქმედება, ააფრთოვანეს კავკასიის ერები „რუსეთის უღლის" კისრიდან მოსაშორებლად, და შეიტანეს პროპაგანდა მუშებში და გლეხებში. მომხიბლველი სურათი „დიდ სომხეთისა" და „მთელი საქართველოსი" თვალ წინ წარმოუდგათ. ან-კი რომელი ერი არ წარიტაცებოდა ამ ცისარტყელით, თუ-კი ერს პოლიტიკური მთლიანობა და დამოუკიდებლობა არა აქვს... ველურმა ინსტიქტებმა გაიღვიძეს გაფანატიკოსებულ ხალხში და დაიწყო რევოლიუცია მთელის თავის საშინელებით... ქართველი ერები (განსაკუთრებით გურულები და იმერლები) ყოველ ხელსაყრელ შემთხვევის დროს აშკარად აჩვენებდნენ თავის უგონო, გაავთრებულ მძულვარებას რუსეთისადმი.

ამ საბრალმდებლო ოქმში არც ერთი სიტყვა, არც ერთი აზრი არ არის მართალი. „ნოვოე ვრემიას" გამძვინვარებულ კაცთმოძულეობას სხვა ან რა შეუძლიან, თუ არ ამისთანა მართლა და უგონო ცილის წამება, რომელიც იმ აზრით არის შეთხზული, რომ „ხელახლა დაპყრობილ იქმნას" „დამღუპველი" და მოუსვენარი კავკასია.

„ნოვოე ვრემიამ" კარგად იცის, რომ კავკასიის ერების, განსაკუთრებით ქართველების ეხლანდელი გამოფხიზლება და აქტიური მონაწილეობა რუსეთის საყოველთაო განმათავისუფლებელ მოძრაობაში მინუსად არ ჩაგვეთვლება, და აი სწორედ ამიტომ გაიძახის, მიზანი ქართველების მოძრაობისა „რუსეთის უღლის" ჩამოგდება და დამოუკიდებლობის მოპოვებააო.

ოფიციალური განცხადება

(დასასრული)

3) შევამჩნიე აგრეთვე, რომ ხშირად აპატიმრებენ ხოლმე სხვა და სხვა პირთ, თუმცა საამისოდ საკმაო საბუთები არა აქვთ. ასეთი ამბავიც მომხდარა, რომ ჟანდარმის ოფიცერს დაუპატიმრებია კაცი, და თავის გადაწყვეტილების ასლი ბრალდებულისათვის არ გაუგზავნია—რასაც კანონი სასტიკად თხოულობს—და არც თავი შეუწუხებია საქმის გამოძიებით. კაცი იგი ორ კვირაზე მეტი იჯდა ციხეში და განთავისუფლებულ იქმნა მხოლოდ მაშინ, როდა ეს ბრალდებულმა მოითხოვა ამ ტუსაღის საჩივრისა გამო. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი სრულიად უდანაშაულო ყოფილა და ჟანდარმის ოფიცერს ცოტა თავი რომ შეეწუხებინა, დატუსაღების რამდენიმე საათის შემდეგ, სრულ სიმართლეს შეიტყობდა. უნდა ახსოვდეთ სათანადო მოხელეთ, რომ თავისუფლების წართმევა და კაცის ოთახში პირდაპირ გამომწყვდევა ისეთი დიდი სასჯელია, რომ სასტიკი ზომები უნდა იქმნეს მიღებული იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ასეთ სასჯელს ვისმე უსაბუთოდ მიაყენებენ; 4) თუ მთავრობის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი თვითნებობა აბრუს უტეხავენ ამ მთავრობას ხალხის თვალში და ხალხს სამართლიანად აღელვებს, არა ნაკლებ ასუსტებს და ამცირებს მთავრობას ის გარემოებაც, რომ მთავრობის წარმომადგენელნი გულგრილად ეკიდებიან თავის მოვალეობის ასრულებას და მთელის თავის ძალღონით არ გამოიჩენენ ხოლმე იმ უფლებათ, რომლებიც მათ აქვთ მინიჭებული. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ხალხი, რომელიც აქამდე ემორჩილებოდა კანონიერ მთავრობას, ხედავს რა მთავრობის სისუსტეს, დღეს გადაუდგა მას და დაემორჩილა საიდუმლო კომიტეტებს. ამ გვარი მოვლენა აიხსნება მარტო იმით, რომ მთავრობის მოხელენი მთელის წლების განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდნენ ხალხის მწუხარება-დაღონებას, გულ-გრილად უქცევდნენ თავის მოვალეობათა ასრულებას და ამიტომაც, მოულოდნელად, ხალხის გარეშე დარჩნენ. ის ხალხი, რომელმაც დაინახა სისუსტე მთავრობის ორგანოთა, დაემორჩილა იმ საიდუმლო კომიტეტებს, რომლებიც ხალხსა და თვით მთავრობას ტერრორით უმკლავდებიან. ამგვარი უწესობა და ანარქია დიდად მავნებელია სახელმწიფო წესწყობილებისათვის, ხოლო მთავრობის წარმომადგენელნი თავის დროზე რომ დაჰკვირვებოდნენ ხალხის გაჭირვებას, ან საჭიროებით შესდგომოდნენ მათდამი მინიჭებულ უფლებათა ასრულებას, ამისთანა ამბავი არ მოხდებოდა.

5) სამწუხაროდ, ასეთივე გულგრილობა მოსჩანს ზედამხედველ ორგანოების მოხელეთა მხრივ სარევოლუციო მოქმედებას აღმოფხვრის დროსაც. ეს მოხელენი გამოეკიდებიან ხოლმე ისეთ მოვლენებს, რომელთაც არავითარი სარევოლუციო მიზანი არა აქვს, ასტეხენ ხოლმე დაუსრულებელ მიწერ-მოწერას და თავისი პირდაპირ დანიშნულება-კი—აღმოჩენა მთავრობის მოწინააღმდეგეთა და მათ მოქმედებათა—ავიწყდებათ. ამასობაში სახელმწიფო წესწყობილების მოწინააღმდეგენი ძალას იკრებენ, სარგებლობენ მთავრობის წარმომადგენელთა ცუდ მხრივ გარემოებით და თავის ქადაგებას ყველგან ავრცელებენ. კავკასიის ჟანდარმთა ერთ-ერთ სამმართველოს უფროსი მთელის წლის განმავლობაში გულმოდგინედ აღნიშნავდა ხოლმე იმ გარემოებას, რომ ჯარის ერთ ერთ ნაწილში ვიღაცები სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეგო მოწოდებებს ავრცელებენ და თან დასძენდა ხოლმე, დამნაშავეთა აღმოჩენა ვერ მოხერხდაო. ასეთის გულგრილობის შედეგმა აღარ დააგვიანა. ახლა იგივე უფროსი იუწყება: ჯარის ამ ნაწილში შესამჩნევი მოძრაობა დაიწყო და თავის მთავრობას პირდაპირი უკმაყოფილებაც-კი გამოუცხადა და „ცუდი საჭმელი" მოიმიზეზაო, ამგვარად, რევოლიუციონერებმა იქაც-კი მიაღწიეს, სადაც მათ უეჭველად გზა დახშული უნდა ჰქონოდათ.

6) აქამდის აუსრულებელი რჩება კავკასიის პოლიციის უფროსისადმი ინსტრუქციის მე-13 §, რომლის აუსრულებლობაც ძლიერ ხელს მიშლის. უმაღლესი მოხელენი მოვალენი არიან დაწვრილებით აუხსნან და განუმარტონ აღმასრულებელ ორგანოებს, თუ რა დროს უნდა მიჰმართონ ხოლმე იარაღს. ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები დაუყოვნებლივ თხოულობს იარაღის ხმარებას იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს. მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ იარაღის უადგილო-ადგილოს ხმარებაც მცხოვრებთა შორის დიდ უკმაყოფილებას და გულის წყრომას იწვევს და ხალხსა და მთავრობას შორის შუღლს სთესავს, ამიტომ უფროსებმა უმცროსებს გადაჭრით უნდა განუმარტონ ხოლმე იარაღის ხმარების დრო. ვიმეორებ, იარაღი დაუყოვნებლივ უნდა იხმარებოდეს იქ, სადაც საჭიროა, მაგრამ თუ ამ საჭიროებამ განვლო, ან არა ყოფილა ასეთი საჭიროება—იარაღის ხმარება თვითნებობად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, დამნაშავის დაჭერის დროს საჭიროა იარაღის ხმარება, მაგრამ თუ დამნაშავე უკვე შეიპყრეს, შეპყრობილის ცემასა და ზედ მეტ შევიწროებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

მე თვითონ ხელს შევუწყობ იარაღის ხმარე-

თვის მოთხოვნის იყო.

მეორე პლატფორმის მომხრენი, რომელთა რიცხვი არ აღემატებოდა 38-ს (9 სექტემბერს ყრილობაზე), განაწილებულ იქნენ, ასე რომ დარჩა მხოლოდ სამი პლატფორმა, რომელთა შორისაც გამწვავებული ბრძოლაა.

მეოთხე პლატფორმის მომხრენი შეუდგნენ ეგრედ წოდებულ „კოალიციონურ საბჭოს" დაარსებას. ამ საბჭოში იქნებიან სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები. მან უნდა განაგოს სარევოლუციო ტრიბუნის სვლის საქმე. არა სძინავთ რეაქციონურ აკადემისტებს და საკუთრივ აკადემისტებსაც. ყველა სცდილობს თავისი გაიყვანოს.

უნივერსიტეტში ყრილობა ყოველ დღე ინიშნება და განა ერთი, რამდენიმე. იურიდიული აუდიტორია № 1, რომელშიაც თავისუფლად ეტევა 2,000 კაცი, სულ გაჭედილია ხოლმე. იძულებულნი არიან პარალელური კრებები გამართონ ხოლმე. თითონ კრებას სამი- ოთხი ათასი კაცი ესწრება. ესწრებიან სტუდენტების გარდა ქალები უმაღლეს სასწავლებლებიდან და სხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებიც. ასეთივე მიმართულებაა ქალთა უმაღლეს კურსებზედ.

პროფესორთა საბჭომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სწავლა უნივერსიტეტში უნდა 15 სექტემბერს დაიწყოსო. გაანაწილეს ლექციები და მოხდა ისე, რომ ერთსა და იმავე აუდიტორიაში, ერთსა და იმავე დროს დანიშნული იყო ლექციის კითხვაც და სტუდენტთა ყრილობაც. საკითხი გართულდა, საქმე გამწვავდა. სტუდენტებმა უკან არ დაიხიეს და აუდიტორია არ გაანთავისუფლეს. ამ რიგად მოხდა შეტაკება სტუდენტთა და პროფესორთა საბჭოს შორის.

უნდა ვსთქვათ, რომ პროფესორთა საბჭომ ნება დართო სტუდენტებს ყრილობების თავისუფლად მართვისა და აღუთქვა კიდეც ამ ყრილობების უზრუნველყოფა პოლიციის ძალმომრეობისაგან. მხოლოდ მოსთხოვა სტუდენტებს ორი პირობის ასრულება: 1. ყოველ კრების გამართვა ეცნობოს რექტორს, რათა არ მოხდეს ისე, რომ ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროს იყოს დანიშნული ლექცია და კრებაც და ამით არ შეფერხდეს სწავლის ნორმალური მსვლელობა და 2. სტუდენტთა ყრილობას არამც და არამც არ დაესწროს გარეშე ხალხი.

სტუდენტები თავისას არ იშლიდნენ და მუდამ ჰმართავდნენ კრებებს გარეშე ხალხის თანა დასწრებით, რომელთა შორისაც, ბლომად იყვნენ მუშები. 21 სექტემბერს 5 ათასი კაცი და ქალი სწორედ რაღაც სასწაულით გადარჩა ხოცვა-ჟლეტას. აი საქმე როგორ იყო.

ამ საღამოს დანიშნული იყო მიტინგი. უნდა წაეკითხათ რეფერატი. კრება შესდგა. ხალხი ძალზე ბევრი მოაწყდა, მეორე და მესამე აუდიტორიაში გაიმართა სხვა და სხვა კრება. საერთოდ დამსწრეთა რაოდენობა ყველა აუდიტორიაში 4—5 ათასამდე იქნებოდა. კრების დროს გავარდა ხმა, რომ ეზოში ცხენოსანი ჯარი სდგას და რაიმე ღონე იღონეთო. გადასწყვიტეს, როდესაც საქმეს გავათავებთ, წყნარად დავიშალნეთ და „წესიერების" რომელიც გარეთ სდგას, ნუ დავარღვევთო. მართლაც გათავებისას წყნარად დაიშალა ხალხი.

საინტერესო იყო კრების შინაარსი გადმოგვეცა, მაგრამ ისეთი კრება იყო, რომ შინაარსის გადმოცემა გაზეთის ფურცლებზე არ მოხერხდება ბევრ მიზეზის გამო.

მეორე დღეს გაზეთებში ვკითხულობთ, რომ უნივერსიტეტი დროებით დაიკეტა. სტუდენტებმა რექტორს კაცი გაუგზავნეს გასაგებად, ვისის განკარგულებით დაიკეტა უნივერსიტეტი პროფესორთა საბჭოსი, თუ გრადონაჩალნიკისა.

რექტორმა ტრუბეცკოიმ გააღებინა ერთი დიდი აუდიტორია, სადაც შეკრება ორი ათასამდე სტუდენტი, მოვიდა თვითონ ამ კრებაზე და აცნობა შემდეგი:

„გუშინდელ კრების მე არა ვიცოდი-რა. გრადონაჩალნიკმა მაცნო, რომ აქ ბევრნი იყვნენ და თქვენ შორის უმრავლესობას გარეშენი შეადგენდნენ, თან დაუმატა, რომ მანეჟში *) ჯარი გამზადებულია საომარ პატრონებით და ჟლეტის შეუდგება, თუ ცოტათი მაინც დარღვეულ იქნა მშვიდობიანობაო. მე, როგორც იყო, დავითანხმე სალდათები წასულიყვნენ. ჩვენ სხვა გზა გადავწყვიტე რა, რომ უნივერსიტეტი დროებით დაგვეკეტნა და ავეცილებინა შემდეგში საკითხის გადაწყვეტამდე, ხალხის ჟლეტა. ეხლა, ბატონებო, თქვენზეა მთლად საქმე დამოკიდებული. უნივერსიტეტის კეთილდღეობა. თუ თანახმანი ხართ, რომ მარტოოდენ თქვენ შეიკრიბნეთ ხოლმე თავისუფლად გარეშე ხალხის დაუსწრებლად, გავაღებთ უნივერსიტეტს, თუ არა და იძულებულნი ვიქნებით რაიმე სხვა ღონისძიებას მივმართოთ. მხოლოდ იცოდეთ, ბატონებო, რომ ჩვენს უნივერსიტეტში აღარ არის ბიუროკრატიული რეჟიმი, ჩვენ თავისუფალ უნივერსიტეტში ვართ და როგორც უნდა გამწვავდეს ჩვენს შორის დამოკიდებულება, პოლიცია აქ ჩვენს წმიდათა წმიდაში ფეხს ვერ შემოსდგამს. ამის შემდეგ უზრუნველ ყოფას მე გპირდებით".

ამ გვარად მოსკოვის უნივერსიტეტში საკითხი ძლიერ და ძლიერ გამწვავდა, რადგან გარეშე პირთა დასწრებობა სტუდენტთა კრებებზე აუცილებელია. რადგან სტუდენტებს უნივერსიტეტის კედლები იმისთვის უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი მოიზიდონ და მოამზადონ პოლიტიკურად. თქმა არ უნდა, იგი არ დასთანხმდება, გარეშე ხალხისთვის დაიკეტოს უნივერსიტეტის კარები. ამგვარ კრებების (უკეთ რომ ვსთქვათ, უნივერსიტეტის სახალხო პოლიტიკურ კლუბად გადაქცევის) ნებას პოლიცია არ მისცემს და თუ სტუდენტობამ თავიანთ სტუმრებთან ერთად თავი არ შეიკავა, თქმა არ უნდა, განმეორდება ის, რისაც ასე გულმოდგინედ, ადვილად და მარჯვედ ასრულებს ჩვენი ბიუროკრატია.

Al.

იხ. „ცნ. ფურ." № 2920.

*) მანეჟი უზარმაზარი შენობაა, სადაც იმართება დოღი, გამოფენები, და სადაც სტუდენტებს ამწყვდევდნენ არეულობის დროს. ინახავენ აგრეთვე სალდათებს რეზერვად. ზედ უნივერსიტეტთან არის.

ბას მაშინ, როდესაც საჭიროა, მაგრამ ამავე დროს სასტიკად მოვეპყრობი თანამდებობის პირთ, თუ იმათ რამე თვითნებობა და თავქეიფობა გამოიჩინეს.

წერილები

ქ. თელავი. საქალაქო სასწავლებლის მოსწავლენი ისევ გაფიცვას განაგრძობენ: ვიდრე ჩვენ მოთხოვნილებას არ აგვისრულებენ, სწავლას არ დავიწყებთო. ამისთვის ზოგიერთ მშობელთ ეთხოვათ ქალაქის მოურავისთვის მშობელთა კრების მოხდენა. მოურავს მიემართნა მაზრის უფროსისათვის, რომელსაც ნება დაერთო, მხოლოდ გარეშე პირების დაუსწრებლად. კრება პოლიციის თანადასწრებით მოხდა 25 სექტემბერს. დაესწრო 40 მშობელი, თუმცა ორჯელ მეტი იყო მოწვეული. ამათ გარდა იყვნენ გარეშე პირნი და მოსწავლენი. მოურავმა ჯერ მშობელთა სია შეამოწმა და გამოაცხადა, რომ პოლიციის განკარგულებით გარეშე პირთ ნებას ვერ მივცემ კრებას დაესწრნენ, ამისთვის გთხოვთ მიბძანდეთ დარბაზიდან, მხოლოდ გაზეთების რეპორტიორებს შეუძლიანთ დარჩენა. რაც შეეხება მოსწავლეთ, თუმცა არც ამის ნება მოუციათ, მაგრამ მე საჭიროდ ვთვლი, რამდენიმე მაინც დაესწროსო. მოსწავლეთ მოითხოვეს დასწრება ყველასი და გარეშე პირთა, რადგან ბევრ ჩვენ მშობელს არაფერი ესმისო. ამასთან მოსწავლეთ აღუთქვეს წესიერების დაცვა, მაგრამ მოურავმა არ შეიწყნარა. გარეშენი გარედ გავიდნენ. მოსწავლეთ ოთხი წარმომადგენელი აარჩიეს და ამათაც დარბაზი დასტოვეს.

კრების დაწყებისათანავე 4 მოსწავლე დემონსტრაციულად გარედ გავიდა, რადგან გარეშენი არ დაუშვეს, მაგრამ ერთი საათის შემდეგ სთხოვეს და ისევ შემოვიდნენ. კრებას თავმჯდომარეობდა მ. თაიუხოვი. დაესწრო სასწავლებლის ინსპექტორიც. თავმჯდომარემ წაიკითხა მოსწავლეთა მოთხოვნილების ყველა მუხლი და აუხსნა მშობლებს, რომ მოთხოვნილება ძალიან კარგია, სასარგებლო, მაგრამ უადგილოა და მისი განხორციელება ყოვლად შეუძლებელიაო. აქაურ სასწავლებლის მთავრობას არც ერთი მუხლის ასრულება არ შეუძლიან. ოლქის მზრუნველს თავის ნებით არ შეუძლიან მისი განხორციელება და ისევ პეტერბურგში უნდა გადასწყდეს ეს საკითხები, მანამდე-კი სწავლა რომ არ დაიწყოთ, არ იქნება, მთავრობა თვითონა სცდილობს და თქვენი მოგონება არ უნდა, ეხლაც სხვა და სხვა კომისიები მუშაობენ და თავის დროზე ყველა გაკეთდებაო. მშობელთაგან ყველა კითხვაზე ბ-ნი ვ. კახიძე ლაპარაკობდა და თითქმის იცავდა მოსწავლეთა მოთხოვნილებას. თუმცა ეხლა შეუძლებელია ამის შესრულება, მაგრამ იმდენად სამართლიანია ეს მოთხოვნილება, რომ ვალად უნდა დავიდვათ მიმდინარეობა მივცეთ, აქვე დასაწყისში ნუ მოკლავთ ასეთ ჩინებულ აზრებს, ვითხოვოთ მისი ასრულება, ჯერ სწავლის ფასის მოკლება მაინც. დავადგინოთ სწავლის ფასი შემოკლდეს და ახლო მომავალში-კი სრულიად მოისპოს. რაც შეეხება პროგრამის გაფართოვებას, უნდა მოგახსენოთ,—განაგრძო ბ-ნმა კახიძემ,—რომ ეს სასწავლებელი ყმაწვილს გულს უფუჭებს, ხალის უკარგავს, 7 წლის შრომა უქმად უვლის, გათავების შემდეგ სასწავლებელში ვერსად შედის და რჩება ისე ღვთის ანაბარად. აქამდე უფრო საოსტატო ინსტიტუტში შედიოდნენ, მაგრამ ეხლა იქაც ეგზემენებსა სთხოვენ. ამ სამართლიან და კანონიერ მოთხოვნილებებს მშობლებმა მხარი უნდა დავუჭიროთ და საერთო ძალით ვეცადოთ იმის განხორციელებასაო. ერთმა მშობელთაგანმა განაცხადა, რომ წინად სწავლის ფული 8 მ. იყო, ეხლა-კი—16 მ., თუ უფასო სწავლა არ იქნება, ვითხოვოთ მოუკლონ მაინცაო. სასწ. ინსპექტორმა აუხსნა, რომ კლასები ეხლა ცალ-ცალკეა და არ ეყოფაო. უპასუხეს: მთავრობა რომ ხარჯს გვახდევინებს, სად მიდის, სკოლას ცოტად მაინც შეეწიოს, რომ ჩვენი ფულის ნაწილი ჩვენ შვილებს მოეხმარდეთო. სასწავლებლის ბიბლიოთეკისთვის რუსულ-ქართულ და სომხურ ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე ინსპექტორმა აუხსნა, რომ ჯერ მაგ გაზეთების გამომცემლებმა შუამდგომლობა უნდა აღძრან სასწავლებელში ეს გაზეთები ნება დართონ და შემდეგ შეიძლება მისი გამოწერა, თორემ ჩვენ, მასწავლებელთა საბჭოსაც-კი, ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთის გამოწერა აკრძალული გვაქვსო. ამას გარდა მოსწავლეთ მოითხოვეს მასწავლებელნი საოსტატო სემინარიიდან-კი არა, ინსტიტუტიდან იყვნენ ყველანი, შეეფერებოდნენ თავიანთ დანიშნულებას, თავაზიანად გვექცეოდნენო და სხვა.

ბაასი 6 საათამდე გაგრძელდა. მოსწავლეთ უსაყვედურეს, რატომ ჩვენს მოთხოვნილებას მიმდინარეობა არ მიეციით. მაგრამ მოურავმა გამოაცხადა, ეს შეუძლებელი იყო თქვენგან, ისევ თქვენმა მშობლებმა შეადგინონ თხოვნა და იშუამდგომლონ თქვენის მოთხოვნილების განხორციელებაო. ამაზე მშობლები დასთანხმდნენ. ბოლოს ურჩიეს სწავლის დაწყება, უთხრეს, მოილაპარაკეთ, ასწონ-დასწონეთ და ტყუილ-უბრალოდ დროს ნუ დაჰკარგავთო.

დიმიტრიშვილი

სამედიატორო სასამართლოს დადგენილება.

1905 წელს 26 სექტემბერს მედიატორეთ, ბ-ნ პარმენ გედევანიშვილის მხრით—გ. ზ. ხახიბაიამ და ბ-ნ სამსონ ფირცხელავას მხრით—პ. რ. სურგულაძემ მედიატორეთა მიერ ამორჩეულ ბ-ნ ვ. ი. რცხილაძის თავმჯდომარეობით, გამოარკვიეს რა, რომ ბ-ნი ფირცხალავა მზად არის სასამართლოს ყოველ კითხვაზედ პასუხი მიუგოს მხოლოდ ქართულ ენაზედ და უკეთუ სამედიატორო სასამართლო მოსთხოვს მას არა ქართულად ლაპარაკს, არ დაემორჩილება სასამართლოს, და აგრეთვე კატეგორიული განცხადება ბ-ნ გედევანიშვილისა, რომ იგი, ქართული ენის უცოდინარობისა გამო, იძულებულია სასამართლოს წინაშე რუსულად ილაპარაკოს, რის გამოც თხოულობს, რომ ბ-ნმა ფირცხალავამ აუცილებელად რუსულად სთქვას ყოველი, რაც სათქმელი ექნება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ბ-ნი გედევანიშვილი უარს აცხადებს თვით სამართალზე, თუნდაც რომ სამედიატორო სასამართლომ, რადგან მედიატორებმა საკმარისად იციან ორივე ენა და შეუძლიანთ მოუსმინონ როგორადაც რუსულად მოლაპარაკე მხარეს, ისე ქართულად,—გამოარკვიეს რა ესე მედიატორეთ, შესაძლებლად ვერა სცნეს შეუდგნენ საქმის არსებითად განხილვას და დაადგინეს: სამედიატორო სასამართლო შეუძლებლად იცნობს მოვალეობის შესრულებას განსაზღვრულ პირობებში, რაიც გამოეცხადოს ორსავე მოპირდაპირე მხარეს.

თავმჯდომარე **ვ. რცხილაძე**
მედიატორენი **გ. ხახიბაია**
პეტრე სურგულაძე

ოქმის წაკითხვის შემდეგ ბ. ფირცხალავამ მოითხოვა: ოქმში ჩაემატოს, რომ ის, ფირცხალავა, როდესაც ჩვენების ჩამორთმევას მხოლოდ ქართულ ენაზე თხოულობს, იგი ხელმძღვანელობს ჯერ ერთი პრინციპიალურ თავის გარდაწყვეტილებით,—ქართულ საზოგადო კრებებსა და დაწესებულებებში ყოველთვის ილაპარაკოს მხოლოდ თავის დედა-ენაზე—და მეორეც იმითი, რომ ის, ფირცხალავა, როგორც დედა-ენის უფრო კარგად მცოდნე, თავის ინტერესებს უკეთესად დაიცავს.

ბ-ნ გედევანიშვილმა სასამართლოს განუცხადა, რომ ამ საქმეში იგი კერძო პირი-კი არ არის, არამედ წარმომადგენელია ქართულ „ზემლიაჩესტვო“-სი, რაც დაამტკიცეს სასამართლოში მეოთხემ იმავ „ზემლიაჩესტვოს“ წევრებმა დ. გ. გაბაშვილმა, ნ. ი. ყანჩელმა და გ. ს. ჯავრიშვილმა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. ეს ოთხი თვე იქნება, რაც გორის მაზრაში დაარსდა თავად-აზნაურთა ორგანიზაცია, რომელსაც აზრად ჰქონდა ჩვენსა და გლეხკაცთა შორის ურთიერთობისა და სიტკბოების დამყარება. რადგან ეს აზრი ვერ განხორციელდა და ამასთან ამ ორგანიზაციის ზოგიერთმა წევრმა უფრო გაამწვავა ჩვენსა და გლეხთა შორის უსიამოვნება, ამიტომ დღეიდან თავს ვანებებ ამ საზოგადოების წევრობას.

ლუარსაბ გიორგის ძე თულაშვილი.

II

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ ამ ჩვენ წერილს: როგორც მოგეხსენებათ, ქართლში შესდგა თავად-აზნაურთა საზოგადოება, რომელსაც აზრად ჰქონდა ურთი-ერთ დახმარება და გლეხებთან კეთილ-განწყობილების ჩამოგდება. რადგან არც ერთი ზემოხსენებული მიზანი არ განხორციელდა, პირიქით, ცუდი ნაყოფი გამოიღო და არა სასურველი მიმართულება მიიღო, რასაც ნათლად ჰყოფს რამდენისამე წევრის მოქმედება სხვა და სხვა ადგილას, ამიტომ მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს გამოვაცხადოთ, რომ დღეიდან თავს ვანებებთ ზემოხსენებულ საზოგადოებას.

ნიკოლოზ იაკობის ძე ერისთავი,
დავით გიორგის ძე ერისთავი,
კონსტანტინე ლევანის ძე თულაშვილი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

28 სექტემბერი.

პეტერბურგი. „სლოვო“ იუწყება, სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევნები დეკემბრის პირველ მესამედში მოხდებაო.

„რუს“-ში დასტამბულია ერობების და ქალაქების მოღვაწეების ცენტრალურ კომიტეტის წევრების სია. მაში ბევრი ჟურნალისტიც იღებს მონაწილეობას. კომიტეტის მთავარი მოქმედებაა მცხოვრებლების დახმარება იმ სადაო საკითხების გარკვევით, რომლებსაც სათათბიროს დებულების ცხოვრებაში გატარება გამოიწვევს.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, პეტერბურგის უნივერსიტეტში უკრაინელ სტუდენტებს ყრილობა ჰქონდათ და გადაწყვიტეს უკრაინას მიეცეს ავტონომია დემოკრატიულ-ფედერატიულ საფუძვლითო.

„ს. პეტერბურ. ვედომ.“-ს გაუგონია, რომ სამხედრო მინისტრმა უარჰყო პოლკებში უმაღლეს თანამდებობებზე დასანიშნავ პირების არჩევითი სისტემაო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 სექტემბერი

ქრისტიანია, 28 სექტემბერი. სტატს-სეკრეტარმა მიხელსონმა დღეს დახურა პარლამენტის სესია.

ლონდონი. „ტაიმს“-ი ამბობს, დიდი ბრიტანეთს შეუძლია იმედით უყუროს იმას, რომ რუსეთსა და მას შორის დიდი ცვლილება მოხდება. რუსეთის ტრადიციულ პოლიტიკის ასე უეცრად შეცვლის წინააღმდეგ, მართალია, მიმართულია ძლიერი აგიტაცია, მაგრამ, რამდენადაც სხვა და სხვა გარემოებანი ამტკიცებენ, ხელთ არის სრულიად საკმაო ნიშნები, რომ მალე დადგება ასეთი ცვლილებაო.

ვარშავა. რადგანაც უნივერსიტეტის გაღების საკითხი გარკვეულია, რუსმა სტუდენტებმა კოლექტიური თხოვნა და შუამდგომლობა წარადგინეს, გადაიყვანონ ისინი მათ მიერ ამორჩეულ უნივერსიტეტებში. გარშავში 11 ათასი კაცია, რომელთაც უფლება აქვთ, აარჩიონ დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროში.

ლომჟა. ხოლერის გავრცელებისთვის ხელის შესაშლელად გადაწყვეტილია დაარსდეს ორი ეპიდემიის სადგომი პუნქტი და მოეწყოს ექიმები ვარშავის საქ. ოლქის ხარჯზე.

ბაქო. მრეწველთა თათბირზე დაადგინეს, რომ სამრეწველოების ახლანდელი დაცვა არაა საკმაო და მუშაობის განახლება საშიშიცაა და შეუძლებელიც.

გომელი. ესროლეს ისპრავნიკ ბლონსკის და საშინლად დასჭრეს.

მოსკოვი. საინჟინრო სასწავლებლის დირექტორად აირჩიეს ან ახლანდელს, მაქსიმენკოს ან პროფესორ ჟიხნევსკის. სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორად არჩეულ იქნა შინკოვი, მისს თანაშემწედ—იგნერენკო.

ყაზანი. გუბერნატორი სთხოვს ხალხს, ნუ მიიღებს მონაწილეობას დემონსტრატიულ ყრილობებში და აფრთხილებს, რომ წესიერების აღსადგენად უკიდურესი ზომები იქნება მიღებულიო. მოსწავლეების მშობლებს სთხოვს, იმოქმედეთ თქვენს შვილებზეო.

ტოკიო. იაპონელებმა დაიჭირეს გერმანიის გემი „ემსტრუპე“ ფუზანის წყლებში, გემი „ვაგნერ“-ი-კი ცუსიმის წყლებში. ორივე ვლადივოსტოკს მიდიოდნენ კონტრაბანდით დატვირთული.

მოჯი. შანდუნის ზღვის კანდელის ახლოს ნაღმზე წაწყდა ბრიტანეთის გემი „დეზი“. დაიღუპა 15 კაცი.

პეტერბურგი. 26 სექტემბერს 5 კაცი გახდა ავად ხოლერით ლომჟის გუბერნიაში და 2 გარდაიცვალა კიდეც.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 სექტემბერი

ყაზანი. განცხადებაა გაკრული, უნივერსიტეტის რექტორის მიერ ხელ მოწერილი, რომ რადგანაც, მიუხედავად საბჭოს დადგენილებისა, სტუდენტების კრებებს მაინც ესწრებიან გარეშე პირნი, საბჭომ დაადგინა, უნივერსიტეტის სტუდენტების დასამშვიდებლად დაიხუროს უნივერსიტეტი 28 სექტემბრიდან 1905 წ. 6 ოქტომბრამდე.

ტომსკი. სამი დღეა, მთელი საზოგადოება თავს იყრის. სჯა-ბაასი აქვთ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის გაღებაზე. პრინციპიალურად უმეტესობამ მხარი დაუჭირა მეცადინეობის დაწყებას.

კრემენჩუგი. ქალების უფლებებით გათანასწორების საკითხის შესახებ საერობო კრებაზე გადაწყდა მიეცეს ქალებს საარჩევნო უფლება მხოლოდ საქალაქო და საერობო თვითმმართველობებში.

ბაქო. გაცხარებული მუშაობა აქვთ ნავთის კოშკების გასამართავად.

ვენა. იმპერატორმა თავისთან მოუწოდა ფეიერვარის. ამბობენ, რომ მას ხელ-ახლა მიანდობს იმპერატორი კაბინეტის დაარსებასო.

„ფრემდენბლატ“-ი არღვევს ხმებს, ვითომც გემ „პანტერ“-ზე მატროსები აჯანყებულიყვნენ; მაგრამ იგი უარს არ ამბობს იმაზე, რომ ბევრი მატროსი გაქცევია გემზე არსებულ რეჟიმს.

ვენა. 27 სექტემბერს, საღამოს, ჰუნგრეთის მაგნატების პალატამ, ხმის უმეტესობით, უარჰყო თოთზიკის მკაცრე პროექტი და ერთხმად მიიღო უფრო რბილად შედგენილი პროექტი. ამ რეზოლუციაში მაგნატების პალატა თავის ღრმა მწუხარებას აცხადებს კონსტიტუციონურ მოქმედების გამუდმებით გადადების გამო; საქმის ამისთანა შეფერხება აბრკოლებს საკანონმდებლო კრების მუშაობას და ხელს უშლის მთავრობის მოქმედების კონტროლს. პალატა იმედოვნებს, რომ ამისთანა შეფერხებას კვლავ აღარ ექნება ადგილი.

29 სექტემბერი.

სტამბოლი. კრიტოსის დაწყნარება წინ მიდის იმ ნაწილებში, საცა რუსები და ინგლისელები მოქმედებენ.

მოსკოვი. მესტამბეებმა ერთხმად უარჰყვეს მუშების მოთხოვნები სამუშაო დროს შემოკლებისა და ხელფასის გადიდების შესახებ. დანარჩენ მოთხოვნებს შემდეგს სხდომაზე გაარჩევენ.

პეტერბურგი. აქ მოვა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი და უნივერსიტეტის ამბებს მოახსენებს მინისტრს. ფინანსთა მინისტრი ტელეგრაფით აუწყებს კავკასიის ნამესტნიკს: „ნავთის მრეწველთ განცხადებით მომმართეს, რომ, თანხმად მათ მიერ მიღებულ ცნობებისა, ბალახანის სამრეწველოებზე სალდათები მხოლოდ 20 პოსტზე დგას, თითო ან ორ-ორი, მიუხედავათ იმისა, რომ გენ.-გუბერნატორს 90 პოსტის გამართვა აღუთქვამს მათთვის. დანარჩენ პოსტების გაუმართაობას ჯარის უკმარობით ხსნიან. ბალახანში მუშაობა სრულებით არაა უშიშარ ყოფილა. ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ერთხელ კიდევ შეგაწუხოთ, რაც შეიძლება ჩქარა და ნამდვილად, იქნას უშიშარ-ყოფილი სამრეწველოებზე მუშაობა.

ტომსკი. უნივერსიტეტის გაღება გადაწყდა ხმის უმეტესობით.

პეტერბურგი. საერო განათლების სამინისტროს მდიდარი მასალა შეუკრებია სახალხო მასწავლებლების შესახებ. კომისია იგზავნება შეისწავლოს, როგორაა საზღვარგარეთის საშუალო და დაბალ სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე დაყენებული.

მოსკოვი. პეტ. სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს ოფიციალურად, რომ პირველ შეტაკების დროს, 23 სექტემბერს, სტრასტნოი მოედანზე ქვით დაიჭრა ჟანდარმთა ოფიცერი, ტყვიებით დაიჭრა უბრალო ჟანდარმი და ქვით ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი. ხალხიდან არავინ არ დაშავებულა. 24 სექტემბერს „მოსკოვის ლისტოკ“-ის რედაქციასთან დასჭრეს 3 გოროდოვოი, ნიკიტსკის ჭიშკართან—1. ნიკიტსკის ბულვართან მიმავალ დრაგუნთა ესკადრონს ქვები დაუშინეს. ერთი დრაგუნი მძიმედაა დაჭრილი. საღამოთი ისროდნენ ტვერსკოი ბულვარზე; დაშავდა ვინმე მახოტინი, რომელიც ორივე ხელებში იქნა დაჭრილი. მძიმედ იქნა დაჭრილი ორი ყაზახი. მოკლული არ ყოფილა. 25 სექტემბერს ფილიპოვის სახლებთან არავინ არ მოუკლავთ და არც დაუჭრიათ ცხელის იარაღით, ქვებით დასჭრეს ყაზახ-რუსი და გოროდოვოი, დაშავდნენ უბნის ზედამხედველი, რომელიც დღეს გარდაიცვალა და ორი გოროდოვოი. 28-ს ტუკსის ფაბრიკასთან მეეტლე დასჭრეს. 26 შეტაკება არ მომხდარა. საზოგადოდ არეულობის დროს მოკვლით არავინ მოუკლავთ.

კიევი. სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა უარი სთქვეს წლიურ აქტზე დასწრებაზე და განაცხადეს, ჩვენ უმაღლეს სასულიერო სასწავლებლების ავტონომიისაკენ მივისწრაფით და არა აქტებზე დასწრებისაკენო.

29 სექტემბერი

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით, ფინლიანდიის, უმაღლესის ბრძანებით, ნება მისცლია იხმაროს ერთი ადგილობრივ ენათაგანი ყველა პირთა და დაწესებულებებთან მიწერ-მოწერის დროს, გარდა გენერალ-გუბერნატორისა და სტატს-სეკრეტრისა.

„ნოვოსტი“ იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგის ზომების მიღება აქვს განზრახული ბეჭდვით სიტყვის მდგომარეობის შესამსუბუქებლად არჩევნების დროს: 1. ცენზურიან გამოცემებს ნება ექნებათ სრულიად თავისუფლად გამოაქვეყნონ ხოლმე ყოველგვარი კანდიდატებისა; 2. თავისუფლად ბეჭდონ სჯა-ბაასი შესახებ არჩევნებისა, საარჩევნო აგიტაციისა და სახელმწიფო სათათბიროს მოქმედებისა და აგრეთვე თავისუფლად შეეძლებათ დაახასიათონ ის პირნი, რომელთა არჩევა შეიძლება ამომრჩევლად ან სათათბიროს წევრად, მაგრამ ამასთანავე ბეჭდვით სიტყვამ უნდა შეასრულოს ცენზურის წესდების მეოთხე, მე-95-ე და 96-ე მუხ. მოთხოვნანი; 3. განთავისუფლებულ იქნან ცენზორები და სხვანი, რომელთაც მინდობილი აქვთ პერიოდულ გამოცემების ცენზორობა, 1006 მუხ. ძალით პასუხის გებისაგან.

ოდესა. ხმის უმეტესობით გადაწყდა, უნივერსიტეტის გაღება და ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია მანამდე არ შეუდგნენ მეცადინეობას, სანამ ქალაქში არ იქნება გაუქმებული ომიანობის დროის წესები.

ტოკიო. კორეის მთელ არეულობანი, რადგანაც ადგილობრივი მთავრობა არც კი ცდილობს ზომების მიღებას.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი**

გამოსაღები ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 27 სექტემბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	98.75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	45,81½
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,37½
ლონდონისაზე ჩეკები	94.70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37 62½
ბირჟის დისკონტი	5¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	87⅞
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	84,½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	460
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	351½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	285½
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	90⅛
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	80¼
5% გირ, ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	83⅝
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	86
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ამცია.	201

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტიდ სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/71 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. გზავ № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს.ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.);. 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 929/3 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

განცხადებანი

ახლად კურს დამთავრებული ტფილისის ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებელში კისრულობს ასწავლოს ჭ რ ა ქ ე რ ვ ა, სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატტესტატზედ.

ქუთაისი, ივანოვის ქ. ექვთ. ჯანგავაძის სახ. მ. ყიფიანისა. (15—389—1)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/a, ქნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანკის ქუჩაზე, ამხ. ტსამბაში. (25—25)

Открыта подписка на ежедневную Общественно-Политическую и Литературную газету

„ВОЗРОЖДЕНІЕ“

1-й № ВЫЙДЕТЪ 1-ГО ОКТЯБРЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА	НА ГОДЪ	на ½ г.	на ¼ г.	на 1 мѣс.
для городскихъ подписчиковъ съ доставкою. . .	6 р.	3 р.	1 р. 50 к.	50 к.
для иногороднихъ подписчиковъ съ пересылкою.	7 р.	3 р. 50 к.	1 р. 75 к.	60 к.

Подписка принимается въ конторѣ газеты „ВОЗРОЖДЕНІЕ“ Тифлисъ, Головинскій пр. домъ бр. Зубаловыхъ (входъ съ Давидовской ул.).

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

За строку петита впереди текста . . . . 10 к.
„ „ „ позади . . . . 5 к.

Съ января 1906 г. „ВОЗРОЖДЕНІЕ“ будетъ выходить съ ежедневнымъ иллюстрированнымъ приложеніемъ (съ каррикатурами), причемъ оба изданія будутъ стоить 10 руб.

Редакторъ П. А. ГОТУА.
Редакторъ-Издатель кн. П. І. ТУМАНОВЪ.

(3—у.—3)